საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 8 ნოემბერი, 2012 წელი.

№215 (7091)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვები სიტყვაა, ცუდილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ქურნალი – ფილამდე!

3

რა ბედი ელის აფხაზეთის დევნილ მთავრობას?

4

სახალხო დამცველი და „ფერადების“ დამცველები

4

რა „სამშვიდობო“ მისიის შესრულებას დააკისრებს სტრატეგიული პარტნიორი საქართველოს?

5

დევნა თუ პროვოკაცია?

14

პასუხისმგებლობა სკოლებმა უნდა იკისრონ

15

თითქოს თბილისში ხელოვნური სცობილა გვაკლდა!

7

15

მუნიციპალური ტრანსპორტი გაფიცვის ზღვარზეა

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კანონმდებლები

უმრავლესობამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საკუთარი კანდიდატურის დამტკიცება ვერ შეძლო

საპარლამენტო უმრავლესობამ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საკუთარი კანდიდატურის დამტკიცება ვერ შეძლო.

უმრავლესობის მხრიდან იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

წარდგენილი იყო შალვა შავგულიძისა და ზაქარია ქუცნაშვილის კანდიდატურა, თუმცა ქუცნაშვილის დამტკიცებას დეპუტატთა უყურადღებობის გამო ხმა არ ეყო. კერძოდ, როდესაც უმცირესობამ პროტესტის ნიშნად სხდომათა დარბაზი დატოვა, უმრავლესობის წევრების ყურადღება ამ პროცესისკენ იყო მიმართული და კენჭისყრის ერთწუთიან მონაკვეთში ხმის მიცემა ვერ მოახერხეს.

თავად უმცირესობის მხრიდან წარმოდგენილი ლევან ბეჟაშვილის კანდიდატურა ჩავარდა — 58-მა დეპუტატმა ხმა წინააღმდეგ მისცა, 54 კი, მომხრე იყო. კენჭისყრის შემდეგ უმცირესობამ დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა.

დეპუტატებმა მხოლოდ შალვა შავგულიძის კანდიდატურის დამტკიცება შეძლეს.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონით, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში პარლამენტისთვის ოთხი ადგილია გათვალისწინებული. აქედან ერთ ადგილს ავტომატურად იკავებს იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელი, ორს — უმრავლესობაში შემავალი ფრაქციები, ერთს კი — ოპოზიცია.

კანდიდატურების ჩავარდნასთან დაკავშირებით პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განცხადება გააკეთა პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. მან განაცხადა, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წევრების დამტკიცების საკითხი პარლამენტის დღის წესრიგში ისევ შევა და რაკი დარჩა ორი ადგილი ვაკანტური, შესაბამისად კანდიდატურების წარმოდგენა ხელახლა მოხდება. ამასთან უსუფაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში კანონმდებლობის გათვალისწინებით კანდიდატურების შეცვლა საჭირო არ არის.

* * *

საპარლამენტო უმრავლესობამ ოპოზიციის მიერ წარდგენილი კანდიდატი სასჯელაღსრულების სამინისტროს მუდმივმოქმედ კომისიაშიც ჩააგდო.

კენჭისყრა პარლამენტში მაშინ გაიმართა, როცა ოპოზიცია დარბაზში არ იმყოფებოდა. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს მუდმივმოქმედ კომისიაში პარლამენტისთვის განსაზღვრული კვოტიდან უმცირესობის მხრიდან ჩიორა თაქთაქიშვილის კანდიდატურა იყო დასახელებული. თაქთაქიშვილს მხარი უმრავლესობის 2-მა წევრმა დაუჭირა, 55-მა კი ხმა წინააღმდეგ მისცა.

კომისიაში უმრავლესობის მიერ წარდგენილი იყო ეკა ბესელიას კანდიდატურა, რომელიც უმრავლესობამ 74 ხმით დაამტკიცა.

ინტერპრესნიუსი

გამოძიებას ბიძინა ივანიშვილი პირადად გააკონტროლებს

ამის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს „ქორთიარდ მარიოტში“ განუცხადა.

მისი განმარტებით, თვალს აუცილებლად მიადევნებს გამოძიებას.

ბაჩო ახალაიასა და გაერთიანებული შტაბის უფროსის გიორგი კალანდაძის დასაკავებლად სამართლებრივი საფუძვლები არსებობდა, — თქვა მან.

პრემიერის განმარტებით, იგი კონკრეტულ ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით არ ფლობს და არც ამ პროცესებში მონაწილეობდა.

„ეს არ იყო პოლიტიკური დაკავება და, რამდენადაც ვიცი, ამისთვის არსებობდა სამართლებრივი საფუძვლები. ეს გააკეთეს იმათ, ვისაც კანონით ეკუთვნოდა და ყველაფერი გაკეთდა ყოველგვარი კანონიერების დაცვით. მე ამ პროცესებში არ ვმონაწილეობდი და მეტს ვერაფერს გეტყვით“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

ჩრდილოკავკასიელები ახალაიას ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებდნენ

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გუბაზ სანიკიძის განცხადებით, ბაჩო ახალაია საქართველოში იმიტომ დაბრუნდა, რომ მისთვის ყველაზე უსაფრთხო ადგილი სწორედ საქართველოა.

როგორც გუბაზ სანიკიძემ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა, არსებობს გონივრული ეჭვი, რომ ჩრდილო კავკასიური დიასპორების წარმომადგენლები ბაჩო ახალაიას ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებდნენ.

მან პოლიტიკურ ოპონენტებს მოუწოდა, რომ ნუ გამოაცხადებენ ბაჩო ახალაიას ცოტნე დადიანად, რადგანაც ის გმირი არ არის და გამოძიება გაარკვევს, ჯალათია თუ მსხვერპლი.

„ჩვენ უსამართლობას არ დავუშვებთ, რადგან ჩვენი ამოცანაა, რომ არ დაგემსგავსოთ თქვენ. სწორედ თქვენ გვასწავლეთ, როგორი არ შეიძლება იყოს ხელისუფლება. მადლობას გიხდით ამისთვის“, — მიმართა სანიკიძემ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს.

ირაკლი ალასანიამ გაერთიანებული შტაბის უფროსისთვის ბრალის წაყენებას სამწუხარო ფაქტი უწოდა

თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე ზრუნვას ჩვეულ რეჟიმში განაგრძობენ. ამის შესახებ ჟურნალისტებს სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ გაერთიანებული შტაბის უფროსის გიორგი კალანდაძისა და ბაჩო ახალაიას დაკავების ფაქტის კომენტირებისას განუცხადა.

მისი განმარტებით, მოხდა სამწუხარო ფაქტი და ბრალი წაუყენეს გაერთიანებული შტაბის უფროსს.

მისივე ინფორმაციით, დილით შეხვდა შეიარაღებული ძალების სარდლობას, რის შედეგადაც შეუძლია თქვას, რომ თავდაცვის სამინისტრო და შეიარაღებული ძალები აგრძელებს მუშაობას ჩვეულ რეჟიმში ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

მთავარი პროკურორის განცხადება

„გამოძიებით დადგინდა, რომ 2011 წლის ოქტომბერში, თავდაცვის მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ, გაერთიანებული შტაბის უფროს გიორგი კალანდაძესთან და მეოთხე ბრიგადის მეთაურ ზურაბ შამათავასთან ერთად, მინისტრის სამუშაო კაბინეტში ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა 6 სამხედრო მოსამსახურეს“, — ამის შესახებ გამართულ ბრიფინგზე მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა.

მისივე განცხადებით, ახალაიამ ერთ-ერთ სამხედროს დანის ტარი თავში ჩაარტყა. მთავარი პროკურორის ინფორმაციით, აღნიშნულის შემდეგ, ახალაიამ ეს სამხედროები ვაზიანში გადაიყვანა, სადაც ბრიფინგის ოთახში მათ კვლავ მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც გაგრძელდა მეოთხე ბრიგადის შემადგენლობის 20-30 კაცის წინაშე სიტყვიერი შეურაცხყოფით.

„გუშინ და დღეს დილით გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებულნი არიან: ბაჩანა ახალაია, ზურაბ შამათავა და გიორგი კალანდაძე, სწორედ სისხლის სამართლის 333-ე მუხლის შესაბამისად. მათ ბრალი კანონით გათვალისწინებულ ვადაში წარედგინებათ“, — განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.

სამშობლოში იმის გამო დაბრუნდა, რომ ვიზასა და პოლიტიკურ თავშესაფარზე უარი მიიღო

ფრაქცია „ქართული ოცნების“ ლიდერის ზაქარია ქუცნაშვილის ინფორმაციით, ბაჩო ახალაია სამშობლოში იძულებით იმის გამო დაბრუნდა, რომ ვიზისა და პოლიტიკური თავშესაფრის მიღებაზე უარი მიიღო.

ქუცნაშვილმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პოლიტიკურ ოპონენტებს აღნიშნული საკითხით დაინტერესება ურჩია და განაცხადა ისიც, რომ ახალაიას ბრალეულობის საკითხი მტკიცებულებების ერთობლიობით იქნება გამყარებული.

„იმის შიშით, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მრავალ დანაშაულში ეჭვმიტანილ პირებს პოლიტპატიმრებად გამოაცხადებს, ჩვენ სამართლისა და ხალხის ინტერესების დაცვაზე უარს ვერ ვიტყვით. რატომ გაიქცა სამშობლოდან ახალაია, თუ ასეთი უმანკო და ღირსებით შემკული იყო?! რომელ ქვეყანას აფარებდა თავს?! რომელი ქვეყნის მთავრობისგან ითხოვდა ვიზას, რომ იქ შესულიყო და პოლიტიკური თავშესაფარი მიეღო?! და რომელმა ქვეყანამ უთხრა უარი ვიზაზე?! ის საქართველოში იძულებით დაბრუნდა, რადგან არავინ მისცა ვიზა და პოლიტიკური თავშესაფრის მიცემაზე უარი უთხრეს“, — განაცხადა პარლამენტში გამართული დებატებისას ზაქარია ქუცნაშვილმა.

◎ პრობლემა

ალტერნატიული ვარიანტი წარუდგინა

თბილისის მერმა მინისტრთა კაბინეტს განსახილველად წარუდგინა მთავრობის დადგენილების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის მერიიდან აცნობეს, ეს საქართველოს მთავრობის დადგენილებით სხვადასხვა ტიპის სოციალური პროგრამების გაუქმების შედეგად წარმოშობილი პრობლემის მოგვარებას ისახავს მიზნად.

თბილისის მერია იმედოვნებს, რომ საქართველოს მთავრობა, რაც შეიძლება სწრაფად განიხილავს წარდგენილ პროექტებს და მხარს დაუჭერს სოციალური პროგრამების აღდგენას.

საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ვანო მერაბიშვილის 2012 წლის 19 ოქტომბრის განკარგულებით, სოციალური

პროგრამების განხორციელებაზე ფინანსური ვალდებულება თბილისის მერიისგან ჯანდაცვის სამინისტროს გადაეცა. ამავე წლის 31 ოქტომბერს კი, საქართველოს ახალმა მთავრობამ 19 ოქტომბრის დადგენილება გააუქმა და პროგრამების განხორციელება ისევ მერიას დააკისრა.

თუმცა მერია აცხადებდა, რომ ყველა ხარჯები უკვე გაწერილი იყო და აღნიშნული პროგრამები ვეღარ დაფინანსდებოდა.

საქართველოს გენერალთა კლუბის განცხადება

საქართველოს გენერალთა კლუბის განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ჯი-ეიჩ-ენი“ გთავაზობთ უცვლელად:

„დღევანდელ საპარლამენტო სხდომაზე აქტიური განხილვის საგანი გახდა ის გახმაურებული დაკავებები, რომელიც განხორციელდა გუშინ და დღეს. ექსხელისუფლების და აწ უკვე უმცირესობის წარმომადგენლები უმრავლესობას და ხელისუფლებას ბრალს სდებენ იმაში, რომ ეს დაკავებები პოლიტიკური ანგარიშსწორებაა. ექსსპიკერმა დავით ბაქრაძემ და უმცირესობის სხვა წარმომადგენლებმა ხელისუფლება ომის გმირების უკანონო დაპატიმრებასა და პოლიტიკურ ანგარიშსწორებაში დაადანაშაულა.

საქართველოს გენერალთა კლუბისთვის სრულიად მიუღებელი და შეურაცხმყოფელია ასეთი შეფასებების მოსმენა იმ ხელისუფლების უმაღლესი ჩინოსნების მხრიდან, რომლებმაც 1992-1993 წლის ომის ვეტერანები სახელმწიფოს მტრად გამოაცხადეს. მათ კანონიერი მშვიდობიანი აქციის და მოთხოვნების გამო სასტიკად გაუსწორდნენ 2010 წლის 3 იანვარს დიდების მემორიალთან. 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილეებზე ასეულობით სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, რათა თავიანთი დანაშაულებები გადაეფარათ. მუხროვანის „ფსევდოაჯანყების“ ბრალდებით ციხეებში გამოამწყვდიეს ათეულობით აგვისტოს ომის მონაწილე. ოჯახები და მომავალი დაუნგრიეს. ომის ვეტერანები თავისიანებად და მტრებად დაყვეს. მეომრის და სამშობლოს ჯარისკაცის პრესტიჟი სრულიად დასცეს და გაანადგურეს.

ექსხელისუფლების წარმომადგენლებისგან ასეთი ბრალდებების წამოყენება კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ მათ მხოლოდ პირადი მერკანტილური ინტერესები ამოძრავებთ და სახელმწიფოებრივი აზროვნება მათთვის სრულიად უცხოა“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სამართალი დაპურებას იწყებს?

ქურნალი – ფილმამდე!

საზოგადოება გაფაციცებით ელოდებოდა, როგორ დასრულდებოდა გენერალურ პროკურატურაში ყოფილი შს მინისტრის ბაჩო ახალაიას დაკითხვა. ვრცელდებოდა ინფორმაციები იმის შესახებაც, რომ დასავლეთის დაჟინებული თხოვნით უმრავლესობა არავის დაკავებას არ აპირებდა, თუმცა ახალაიას დაკავებამ აღნიშნული მოარული ხმები გააქარწყლა.

სანამ ბაჩანა ახალაიას დააკავებდნენ, ჩვენ მის საქართველოში დაბრუნების მიზეზებზე და მოვლენათა განვითარების შესაძლო სცენარებზე რამდენიმე პოლიტიკოსს და ექსპერტს ვესაუბრეთ.

ბაჩანა ახალაია მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე 20.30 საათზე მივიდა. იგი თანაგუნდელებმა მიაცილეს, კერძოდ, უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა ნუგზარ წიკლაურმა, ეკა ხერხეულიძემ და „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენელმა თეა თუთბერიძემ. მოგვიანებით პროკურატურასთან აკაკი მინაშვილი და ხათუნა ოჩიაურიც გამოჩნდნენ. ამასთან, აკაკი მინაშვილმა არ გამორიცხა, რომ შესაძლოა, ახალაია დღესვე დააკავონო. მისი თქმით, ახალაიას წინააღმდეგ საქმე ბოლო დღეებში შეიკერა და ამით „ქართულ ოცნებას“ იმ უუნარობის გადაფარვა სურს, რაც მან უხვად დაარიგა წინასაარჩევნო პერიოდშიო.

აღსანიშნავია, რომ ახალაია თავდაპირველად ადვოკატის გარეშე აპირებდა ყველა შეკითხვაზე პასუხის გაცემას. იმ შემთხვევაში, თუ საქმე გართულდებოდა, ნაციონალები კვალიფიციურ ადვოკატსაც არ გამორიცხავდნენ. მოგვიანებით, ორსაათიანი დაკითხვის შემდეგ, პროკურატურის ეზოში ავტომანქანების კოლონა შეავიდა. უცნობია, ეს კოლონები რამდენად უკავშირდებოდა ბაჩო ახალაიას. მოგვიანებით კი პროკურატურის შენობაში ადვოკატი დავით დეკანოიძე გამოცხადდა და ისიც გაირკვა, რომ სწორედ დეკანოიძე დაიცავდა ამ ეტაპზე ბაჩო ახალაიას უფლებებს.

იმთავითვე მოსალოდნელი იყო, რომ, შესაძლოა, ბაჩო ახალაის ახალ ხელისუფლებასთან ევაჭრა კიდეც, რადგან მან ძალიან ბევრი რამ იცოდა. უცნობია, დაასახელებს თუ არა იგი დამნაშავედ უფრო მაღალ იერარქებს. ამ ეტაპზე ცნობილია, რომ ამჯერად იგი მოწმის სტატუსით იკითხება სისხლის სამართლის საქმეზე. დაფარული არაა, რომ გამოძიება დაწყებულია სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე. დანაშაული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლს გულისხმობს.

პროკურატურაში შესვლამდე ბაჩო ახალაია საკუთარი უდანაშაულობის დამტკიცებას მედიასთან საუბარში ცდილობდა. იგი პოლიტიკაში დარჩენას აღარ აპირებდა, თუმცა ქვეყნისთვის საინტერესო რაღაცის გაკეთებას გვპირდებოდა. ერთში კი დარწმუნებული იყო, რომ მილანში ვერ წავიდოდა და ფეხბურთს ვერ ითამაშებდა.

ახალაიას ფეხბურთელობის წიჭით არა, მაგრამ მისი თავდადებით კი ნამდვილად მოიხიბლა ნუგზარ წიკლაური. მას პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნება უწოდა, რადგან ივანიშვილის რეჟიმის დროს თურმე ახალაიამ სამშობლოში დაბრუნება გაბედა. უფრო მეტიც, წიკლაურმა ასეთივე თავდადებისკენ მოუწოდა დანარჩენ გაქცეულებს. „ნებისმიერმა ადამიანმა უნდა შესვას ეს მწარე სასმისი, ჩამოვიდეს და გასცეს კითხვებზე პასუხი“, - აცხადებს მეგობრის ნაბიჯით აღფრთოვანებული წიკლაური.

საზოგადოებაში კითხვა კითხვად რჩება — რატომ დაბრუნდა ბაჩო ახალაია და რას ნიშნავდა მისი რიხიანი ტონი — აქ ვარ და დამკითხეთო. ეს იმით ხომ არ აიხსნებოდა, რომ მან გარკვეული გარანტიები მიიღო? უკვე გახმიანდა იმის შესახებაც, თითქოს დასავლეთი, მათ შორის, აშშ-ის ახალი ელჩი რიჩარდ ნორლანდიც „ქართულ ოცნებას“ ყოფილ მაღალჩინოსნებზე პოლიტიკური დევნის დაწყებას არ ურჩევდნენ. ამდენად, გამორიცხული არ იყო, ახალაიასაც პოლიტიკურ დევნილად წარმოეჩინა თავი და მას ვერავინ შეეხებოდა. თუმცა, ერთია დასავლეთის სურვილი და მეორე — ქართველი ხალხის ნება. თუკი „ქართული ოცნება“ ყოფილ მაღალჩინოსნებს მათი დანაშაულის შესაბამის პასუხს არ მიაგებდა, და მტკიცებულებების არქონის გამო საქმეს ჯერეროვნად ვერ წარმართავდა, მაშინ საზოგადოების რეაქციაც არ დააყოვნებდა.

For.ge დაინტერესდა, რამდენად მართალია მოარული ხმები იმის შესახებ, თითქოს დასავლეთი „ქართულ ოცნებას“ ყოფილ მაღალჩინოსნებთან მიმართებით კონსტრუქციულობისკენ მოუწოდებს.

რესპუბლიკელების ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ არ არსებობს დედამიწის ზურგზე არცერთი ქვეყანა, რომელიც მათ ეტყვის, კანონი დაარღვიეთო.

ამასთან, მიიჩნევს, რომ საზოგადოებამ სულ რაღაც რამდენიმე დღე უნდა მოითმინოს და მალე გაირკვევა, ბაჩო ახალაიას მადლობას ეტყვიან, თუ თანამდებობაზეც დანიშნავენ, რათა მისეული მეთოდები გაიზიარონ.

ამ ეტაპზე ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ აბსოლუტურად ყველა ადამიანს, მათ შორის, ბაჩო ახალაიასაც უდანაშაულობის პრეზუმფცია იცავს და, სანამ მის მიმართ ძალაში არ შევა გამამტყუნებელი განაჩენი, იგი უდანაშაულოა. მეტიც, ლეგიტიმური ეჭვი იმის შესახებ, რომ იგი შეიძლება დამნაშავე იყოს, მხოლოდ გამოძიების პრეროგატივაა. თუმცა დეპუტატი დარწმუნებულია, რომ ხალხში უსაფუძვლო შიში დათესა, თითქოს, ყოფილ მაღალჩინოსნებს დანაშაული ეპატიებათ, ნაციონალების ხელწერაა.

მან აბსურდული უწოდა იმ ფაქტს, რომ ახალაიას წინააღმდეგ ყველა მტკიცებულება გამქრალია და სწორედ ამის იმედად ჩამოვიდა ბაჩო ახალაია.

„რა მტკიცებულებები უნდა გააქრონ?! არსებობს ხალხი, რომელთა მიმართაც გამოყენებულია არაადამიანური მეთოდები და ის ხალხი გამქრალი არ არის. მოწმეები წარდგებიან და თავისას იტყვიან. ასე რომ, არა მგონია, ასე მარტივად დაუძვრნენ მართლმსაჯულებას დამნაშავეები. ვფიქრობ, ბაჩო ახალაია არ არის ყველაზე მაღალი წერტილი, სადაც გაჩერდება საზოგადოებრივი ან პროკურატურის ინტერესი. მე მგონი, იგი ვილაცებს დაასახელებს,“ — მიიჩნევს ლევან ბერძენიშვილი.

ექსპერტ რამაზ საყვარელიძეს ეეჭვება, დასავლეთისგან რაიმე გარანტიები წამოვიდეს ბაჩო ახალაიას მიმართულებით. მისი აზრით, ამგვარი გარანტიები, შესაძლოა, პრეზიდენტთან დაკავშირებით ჰქონდეს დასავლეთს, ვინაიდან თანამდებობის მიტოვების შემდეგ დასავლეთი ძალიან მგრძნობიარეა პრეზიდენტის ბედ-იღბლის მიმართ. რაც შეეხება ბაჩო ახალაიას, მისი დანიშვნის დროიდანვე, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ის შევიდა თავდაცვის სამინისტროში თუ სასჯელაღსრულებით დეპარტამენტში, დასავლეთი ყველა საფეხურზე საკმაოდ კრიტიკულად აფასებდა მის საქმიანობა. ასე რომ, ესეც კიდევ ერთი მიზეზია იმისთვის, რომ დასავლეთი ახალაიას გარანტიებს არ მისცემდა.

„რა თქმა უნდა, დაუჯერებლად ჟღერს ის, რაც მოხდა. ასე თავქუდმოგლეჯილნი გაიქცნენ და შემდეგ, უცბად ერთი მათგანი ბრუნდება, მაგრამ ვემხრობი მამუკა არეშიძის მოსაზრებას, რომ სხვებისგან განსხვავებით, ბაჩო ახალაიას მიმართ ძალიან დიდი იყო მასზე შურისძიების მსურველთა რიცხვი, მათ შორის, კავკასიელებისგანაც. გამახსენდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიელ ხალხთა წარმომადგენელმა საქართველოში მას ურჩია, რომ ქართული ციხე უფრო საიმედო ადგილია, ვიდრე უცხოეთი. ამდენად, შესაძლოა, ეს რჩევა ახალაიამ გაითვალისწინა,“ — აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

მანვე გამორიცხა, რომ პროკურატურას სამხილები არ ჰქონდეს ახალაიას მიმართ მათი განადგურების გამო. უფრო მეტიც, მტკიცებულებების გარეშე, პროკურატურა ახალაიას დაკითხვის სურვილს არ განაცხადებდა. ამასთან, რამაზ საყვარელიძემ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების მარტო ერთი ისტორია გაიხსენა, როცა დანაშაულის არაერთი კვალი დარჩა, რომელიც დღემდე ახსნილი არ არის.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წევრი ზვიად ძიძიგური გამორიცხავს, ვინმეს გარანტია მიეცა ბაჩო ახალაიასთვის, რადგან, თუ კანონის წინაშე კაცი არ არის პირნათელი, მას ვინ უნდა მისცეს გარანტია?! თუმცა ზვიად ძიძიგურს ერთი რამ აფიქრებს, ბაჩო ახალაიაც და ძალოვანი სტრუქტურების სხვა ჩინოვნიკებიც დარწმუნებულნი არიან, რომ მათ მოახერხეს ყველა იმ მამხილებელი მასალის განადგურება, რომელიც თვითონვე ჰქონდათ შეგროვილი. საუბარია მოსმენების არქივზე, ვიდეომასალებზე, რასაც თავადვე იღებდნენ და აფიქსირებდნენ.

მისივე თქმით, მხოლოდ ციხის ბუნტის სახელით ცნობილ მოვლენებში, ბაჩო ახალაიადან დაწყებული, მთელი მთავრობა მონაწილეობდა. ისინი იყვნენ ჩართულნი მთელ ამ მკვლელობებსა და პატიმრობებში, ძალადობებში და ამის მოწმეები დღეს ცოცხლები არიან. ასე რომ, ზვიად ძიძიგური პესიმისტურად არ არის განწყობილი და ვერც ბაჩო ახალაიას ოპტიმიზმს ირწმუნებს, თითქოს მას დანაშაული არ დაუმტკიცდება.

მარიამ ლოლაშვილი

◎ ინფორმაცია

გიორგი კალანდაძეს ბრალი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ედება

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსს, გენერალ გიორგი კალანდაძეს ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს, — ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა.

მისი თქმით, კალანდაძე დაკავების შესაბამისი ოქმის გაფორმების შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს. ამასთან, როგორც წულუკიანი განმარტავს, კალანდაძე ნორმალურ, მშვიდ გარემოში დააკავეს და კალანდაძის ყველა უფლება დაკავებისას დაცული იყო.

„2012 წლის 7 ნოემბერს, 05:20 საათზე საქართველოს იუსტიციის მინისტრმა დააკავა საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი გენერალი გიორგი კალანდაძე, რადგან მას ბრალი ედება დანაშაულში, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას. ის დააკავეს მთავარი პროკურორის თანდასწრებით. მას განემარტა ყველა ის უფლება, რომელიც აქვს ბრალდებულს, რომ ჰყავდეს ადვოკატი, შეინარჩუნოს დუმილი და ყველა სხვა უფლება, რომელიც მას კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. ამ უფლებების განხორციელება მოხდა ადგილზე. იგი არ დაუკითხავთ, უბრალოდ დააკავეს და გაჩხრიკეს. მას ორჯერ მიეცა წინადადება, რომ გამოეძახა დამსწრეები პირადი ჩხრეკის დროს, რაზეც მან უარი განაცხადა “, — აღნიშნა წულუკიანმა.

მისივე თქმით, იგეგმებოდა კალანდაძის ორივე სახლის ჩხრეკა, თუმცა მთავარ პროკურორთან შეთანხმებით მიიღეს გადაწყვეტილება, არ გაეჩხრიკათ ის სახლი, სადაც იმყოფებოდნენ კალანდაძის მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი.

„ეს ჩხრეკა გადაიდო გათენებამდე, რათა ოჯახს არ მიეღო დამატებითი სტრესი. თავად დაკავებულს დაკავების შედეგად რაიმე სახის დაზიანება არ აღენიშნებოდა. მისი ყველა უფლება დაკავებისას და ჩხრეკისას იყო დაცული. მისი დაცვის უფლება დაკითხვისას და შემდგომი საპროცესო-საგამოძიებო ქმედებებისას, რა თქმა უნდა, ასევე იქნება ბოლომდე დაცული“, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა წულუკიანმა.

არჩილ კბილაშვილი არ გამორიცხავს, რომ სხვა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც გამოიკვეთოს

მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი არ გამორიცხავს, რომ ბაჩო ახალაიას, გიორგი კალანდაძისა და ზურაბ შამათავას გარდა სხვა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხიც გამოიკვეთოს.

როგორც კბილაშვილმა განაცხადა, ამ დრომდე, ამ სამი პირის გარდა, სხვა დაკავებული არავინ არ არის. მისივე თქმით, დაკავებულებს 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სახალხო დამცველი და „ფერადების“ დამცველები

თეა სიჟინავას სახალხო დამცველის კანდიდატებისადმი მიძღვნილ 30 ოქტომბრის ტელეგადაცემა „არგუმენტებში“მონაწილეებს სათანადო არგუმენტებით უნდა დაესაბუთებინათ ამა თუ იმ კანდიდატისთვის გამოცხადებული მხარდაჭერა. ჩემდა გასაკვირვად, გადაცემის პირველი 15 წუთი „მიეძღვნა“ ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქტორის – შორენა შავერდაშვილის და „მაესტროს“ სამი გადაცემის წამყვანის – შალვა რამიშვილის დაპირისპირებას, უფრო ზუსტად, შავერდაშვილის მიერ რამიშვილისთვის წაყენებული ერთობ უცნაური ბრალდების გარჩევას, უცნაურის, როგორც თავისი შინაარსით, ისე იმითაც, რომ ამგვარი ბრალის წაყენების საფუძველი რამიშვილს უფრო ჰქონდა, ვიდრე შავერდაშვილს.

ვინც „მაესტროს“ გადაცემებს უყურებს, ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ რამიშვილს გასაკრიტიკებელი კი აქვს ბევრი რამ და, სხვათა შორის, არც მე დამიკლია ხელი (განსხვავებით, შავერდაშვილისგან, რომელიც შევაქე კიდეც „პრეს-პრესში“ 20 ოქტომბერს ბენდუქიძესთან დაპირისპირების დროს გამოჩენილი შეუპოვრობისთვის), მაგრამ დაცვა რომ არავისი არ სჭირდება, ესეც ცხადია – ენაც უჭრის და გონებაც საკმარისად აქვს გახსნილი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში როლები უნდა შევუცვალო – ვინც ერთხელ შევაქე, ის უნდა გავაკრიტიკო და – პირიქით.

სახალხო დამცველის პოსტზე კანდიდატად დასახელებული საკუთარი რჩეულის – თამარ გურჩიანის მხარდასაჭერი არგუმენტების სიმწირემ ისეთი არალოგიკური (რბილად რომ ვთქვა!) და წამგებიანი რაღაცები ათქმევინა შავერდაშვილს, რომ ქალი, რომელიც ათი დღის წინათ ბენდუქიძის „გაჭედვას“ ცდილობდა, თავად გაიჭედა საკუთარ სწრაფ მეტყველებაში, და ისე, რომ თავადაც ვერ მიხვდა, ის მიზეზებიც დაასახელა, რის გამოც საზოგადოებამ არ უნდა დაუჭიროს მხარი გურჩიანს! და, აკი არც უჭერს!

შავერდაშვილის ღრმა რწმენით, კანდიდატებიდან მხოლოდ გურჩიანის ოფიციალური ბიოგრაფიის ფეისბუკზე დადებით (თანაც, უკომენტაროდ!) რამიშვილმა, თურმე, გურჩიანის საწინააღმდეგო სიძულვილის კამპანიას გაუწია პროვოცირება! არ იკითხავთ რატომ ფიქრობს ასე შავერდაშვილის ქალი? იმიტომ, რომ ამ ინფორმაციას, ვიმეორებ, მხოლოდ ბიოგრაფიულ მონაცემებს(!), სწრაფად მოჰყოლია გურჩიანის კანდიდატურის საწინააღმდეგო 300-მდე(!) ადამიანის უარყოფითი გამოხმაურება (ე.ი. მაკომპრომეტირებელ მასალას შეიცავდა ეს ბიოგრაფია, აბა, სხვაგვარად ხომ წარმოუდგენელია!). რამიშვილს კი იმას აბრალებს, რომ მას, თურმე, ზუსტად სცოდნია ფეისბუკის მომხმარებელთა მოსალოდნელი რეაქციის შესახებ. გამოდის, რამიშვილს ხალხისთვის უნდა დაემალა ეს ბიოგრაფია, და ეგებ, შავერდაშვილის საქებარი კანდიდატი კიდეც გამძვრალიყო ამ საპატიო, სახალხო(!) პოსტზე?! ჯერ ერთი, მე ისეთ კანდიდატს და ამ კანდიდატის დამცველებს რა ვუთხარი, თუ თავიანთი ხელით დაწერილი ბიოგრაფია აამხედრებს ხალხს მის წინააღმდეგ!

სავსებით ლოგიკური და, იმავდროულად, ჩამჭრელი კითხვა დასვა რამიშვილმა: **„ბიოგრაფიას რომ გამოაქვეყნებ და მერე ადამიანები მსჯელობენ მასზე, ეს არის შავი პიარი?! ე.ი. ბიოგრაფიაშია პრობლემა ხომ?!** ამაზე პასუხი, შავერდაშვილს, ცხადია, არ ჰქონდა.

მოდით, ახლა ის ვნახოთ, თუ როგორ იქცევა გურჩიანთან დაკავშირებით თავად შავერდაშვილი. მისივე სიტყვებით:**„ვცდილობ, პირადად ღიად არ გამოვხატო ჩემი სიმპათია და უფრო მეტად ორიენტირებული ვიყო პროცესზე. მართლაც ასე ვარ, თუმცა ჟურნალ „ლიბერალის“გარეკანზე** (! – **Ი. ლ.**) იყო **თამარ გურჩიანი და იყო პატარა პორტრეტი (წერილი) მის შესახებ** (! – **Ი. ლ.**). **ვეცადეთ, რომ ვყოფილიყავით ძალიან ობიექტურები, როცა ამ პორტრეტს ვაკეთებდით. რატომ გავაკეთეთ მასზე აქცენტი? იმიტომ, რომ ის ნაკლებ** (! – **Ი. ლ.**) **ცნობილი იყო ფართო აუდიტორიისთვის და ძალიან გვინდოდა, რომ გაგვეცნო** (!– **Ი. ლ.**). **მე მგონი, ეს ძალიან ჩვეულებრივი პრაქტიკაა** (?! – **Ი. ლ.**). **ამიტომ, მე ვარ ორიენტირებული პროცესზე** (?! – **Ი. ლ.**), **მინდა იყოს (იგი) ძალიან გახსნილი და წარიმართოს ნამდვილი, რეალური კონკურენცია, და არავინ არ ეცადოს ამ პროცესის მანიპულირებას** (! – **Ი. ლ.**). **აი, ეს არის ჩემი ინტერესი“.**

მართალია, ცოტა დიდი ნაწყვეტია, მაგრამ სწორედ მასში დევს ყველა კითხვაზე პასუხი. თავისი ძალზე უცნაური ლოგიკით (არადა, ტექნიკურ საგნებში ძლიერი მოსწავლეები, როგორადაც მან დაახასიათა საკუთარი თავი „პრეს-პრესში“, ცოტა განსხვავებული ლოგიკით გამოირჩევიან!) შავერდაშვილს სურს, დაგვარწმუნოს, რომ რამიშვილის მიერ გურჩიანის ბიოგრაფიის გამოქვეყნება არის პროცესის მანიპულაციის მცდელობა, ხოლო თავად მის მიერ ჟურნალის გარეკანზე(!) გურჩიანის ფოტო და „პატარა პორტრეტი“ (ცხადია, დადებითი!) კი არის მხოლოდ და მხოლოდ „ნაკლებად ცნობილი ადამიანის ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა“, გაცნობა და არა – რეკლამა(!) და, რომ „ეს ძალიან ჩვეულებრივი პრაქტიკაა“, თურმე!

ჟურნალის რედაქტორს, თუნდაც ის არ იყოს ამერიკაშიც ნასწავლები, კარგად მოეხსენება, რომ საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით უცნობ, გნებავთ, „ნაკლებად ცნობილ“ ადამიანს გარეკანზე არ ათავსებენ და, რომ ეს არ არის „ძალიან ჩვეულებრივი პრაქტიკა“! ამგვარი „ახსნით“ რედაქტორი უკვე თავის რეპუტაციას, როგორც რედაქტორისას, აყენებს ჩრდილს, და **იმის მტკიცებას, რომ მისი ინტერესი მხოლოდ „ნამდვილი, რეალური კონკურენციაა“, გულუბრყვილო ვინმე თუ ირწმუნებს მხოლოდ!**

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი „ლიბერალი“ აშკარად რეკლამას უწევს მხოლოდ ერთ კანდიდატს, ფეისბუკზე კი სუფთა ინფორმატიული ცნობები დევს ასევე მხოლოდ ამ ერთი კანდიდატის, ჩემდა და, ალბათ, ყველას გასაოცრად (მორალური თვალსაზრისით!) რედაქტორმა იქეთ შეუტია ფეისბუკის ავტორს – **„სხვა კანდიდატების ბიოგრაფიები რატომ არ დადე, არ იყო საინტერესო“?** ქ-ნ შავერდაშვილს, რატომღაც („გულმავიწყობით“, ალბათ!), არ უჩნდება ანალოგიური შეკითხვა საკუთარ თავთან: **რატომ არ მოათავსა მან თავის ჟურნალში თანაზომი ფოტოები და „პატარა პორტრეტები“ დანარჩენ კანდიდატებზე, „არ იყო საინტერესო“?** ზუსტად ასეთ შემთხვევებზე იტყვიან: „გალმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო“. რამიშვილს შეეძლო (მაგრამ, რატომღაც, არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა) მისივე სიტყვებით ეპასუხა და „გაეფუჭებინა“ ბრალმდებელი: როგორც შენ გადაწყვიტე – შენი ჟურნალის მეშვეობით ფართო აუდიტორიისთვის გაგეცნო ნაკლებად ცნობილი უფლებადამცველი გურჩიანი (და სხვა კანდიდატები – არა!), მეც ზუსტად(!) იმავე მიზნით ჩემს ფეისბუკზე დავდე მხოლოდ გურჩიანის ბიოგრაფია, და არა – სხვებისო. ეჭვს არ იწვევს ერთი რამ. **თუკი თავად გურჩიანის მიერ შედგენილ ბიოგრაფიას ამდენი ადამიანის აღშფოთება მოჰყვა, ადვილი წარმოსადგენია, სხვის მიერ დაწერილი და არა მარტო მშრალი მონაცემების შემცველი(!), რა რეაქციას გამოიწვევდა!**

შავერდაშვილის **„ობიექტური“** პოზიცია გამოკვეთილია, მაგრამ მაინც რამ გამოიწვია ასეთი პარადოქსული რეაქცია ამ ქალბატონის მხრიდან და დიდი ვნებათაღელვა გურჩიანის მხარდამჭერთა დიდ ბანაკში (მას 100 არასამთავრობო ორგანიზაცია უმაგრებს ზურგს), მაინც რა ეწერა ასეთი ამ ბიოგრაფიაში? სიმართლე გითხრათ, არც დავინტერესებულვარ, რადგანაც შავერდაშვილმა თავად გვამცნო გურჩიანის ახლო საქმიანი ურთიერთობის შესახებ ისეთ „სახელმოხვეჭილ“ ორგანიზაციასთან, როგორიცაა „ენდიაი“და „პოლიციის აკადემია“. აქედან გამომდინარე, ფეისბუკის მომხმარებლის რეაქცია ადვილად გამოსაცნობი იქნებოდა საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის (არათუ ამგვარ საკითხებში ჭიპმოჭრილი რამიშვილისთვის!) იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ძალით შემოტენილი ამერიკული ორგანიზაცია „ენდიაი“ და სააკაშვილის „რეფორმირებული პოლიცია“ მკვეთრად უარყოფით ემოციებს იწვევდა და ჯერაც იწვევს ჩვენში! მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ იმაზე, რომ **„ენდიაი“ ანუ„ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტი“ არის ამერიკის სამთავრობო(!) ორგანიზაცია (დემოკრატების), რომელთანაც მჭიდროდ თანამშრომლობდა ჩვენი „არასამთავრობო“(!) გურჩიანი!** „ენდიაის“ ტყუპისცალი,ასევე ამერიკის სამთავრობო(!) ორგანიზაციის, ოღონდ „რესპუბლიკური ინსტიტუტის“ (რესპუბლიკელების) თანამშრომელი – საქართველოს ოფისის დირექტორი(!) იყო ჩვენი „საამაყო“, გაქცეული თავდაცვის მინისტრი შაშკინიც!

ახლა კი, შავერდაშვილის ნათქვამიდან გამოვყოთ და განვიხილოთ ის მიზეზები, რის გამოც არ შეიძლება გურჩიანის არჩევა სახალხო დამცველად:

1.**„ფართო აუდიტორია (ანუ ხალხი) ნაკლებად იცნობს** (ფაქტობრივად არ იცნობს! – **Ი. ლ.**) თამარ **გურჩიანს“.** რატომ? იმიტომ, რომ მას არ უაქტიურია, თავისი საქმიანობით არ დაუმსახურებია საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა, ანუ არ გაუკეთებია არაფერი ისეთი, რაც მას გამოარჩევდა სხვებისგან, როგორც ეს დაიმსახურეს ნანა კაკაბაძემ, ლია მუხაშავრიამ, გელა ნიკოლაიშვილმა და დიმიტრი ლორთქიფანიძემ. არ თქვას ახლა ვინმემ, გურჩიანი ივანიშვილივით ჩუმად აკეთებდა საქმეს, მერე მადლს ქვაზე დებდა და მიდიოდაო!

მარტო ეს მიზეზი კმარა ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გასაკეთებლად: ადამიანი, რომელსაც საზოგადოება, ხალხი არ იცნობს, არ შეიძლება იყოს **სახალხო(!)** დამცველი, **„სახალხო“ არ ნიშნავს „საამერიკოს“!**

არასამთავრობოებს, მათში გაწევრებული რამდენიმე ასეული (თუნდაც, ათასი) ადამიანით, არ შეიძლება პრეტენზია ჰქონდეთ, როგორც საზოგადოების წარმომადგენლობით ორგანოებს, **მით უფრო, რომ მათი უმრავლესობა ითვლება ამერიკის (ძირითადად) კმაყოფაზე მყოფ, ამერიკის მითითებებით მოქმედ ორგანიზაციებად** არა მარტო საქართველოში, არამედ ნებისმიერ სახელმწიფოში.

2. მეორე მიზეზი გურჩიანის შეუფერებლობისა (ამ პოსტზე, ცხადია!) არის **თანამშრომლობა ისეთ სახელგატეხილ ორგანიზაციასთან, როგორიცაა „ენ-დი-აი“ (განსაკუთრებით!) და, აგრეთვე, სადამსჯელო სტრუქტურასთან ასოცირებულ „პოლიციის აკადემიასთან“** (შედარებით, ნაკლებად).

ორგანიზაცია, რომელიც შავს თეთრად ასაღებდა, რომელიც მთელი წელი ნაცარს გვაყრიდა თვალებში თავისი კვლევებით და იმასაც კი გვიმტკიცებდა – ქრისტიანდემოკრატებს „ქართულ ოცნებაზე“ მაღალი რეიტინგი აქვთო, თავი არა აქვს გარეთ გამოსაყოფი, არც მის თავკაც ნავაროს და არც – მასთან მოთანამშრომლე ადამიანებს. და, **თუ 2012 წელს გურჩიანი უკვე აღარ თანამშრომლობდა „ენდიაი“-სთან, ეს არაფერს არ ნიშნავს, რადგანაც მისგან არავის არ სმენია ამ ორგანიზაციის კრიტიკა მაშინ, როცა იმდროინდელი ოპოზიცია და ექსპერტები კრიტიკასთან ერთად მასხრადაც კი იგდებდნენ მას. გურჩიანს, პროტესტის ნიშნად რომ დაეტოვებინა ეს ორგანიზაცია, მაშინ მის ხმას აუცილებლად გაიგონებდა და დაიმახსოვრებდა(!) საზოგადოება.**

იხ. 6 გვ.

◎ პრობლემა

რა ბედი ელის აფხაზეთის დევნილ მთავრობას?

საქართველოში ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო სტრუქტურების ჩამოყალიბება – განახლების პროცესები, თუმცა საერთოდ იგნორირებულია და უცნობია, თუ რა ბედი ელის აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებას, რა ფორმით გააგრძელებს ფუნქციონირებას. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ზუგდიდის წარმომადგენლობის თანამშრომელი ოთარ ბერიშვილი მიიჩნევს, რომ ყველა სტრუქტურა, რომელიც მუშაობს საქართველოს რეგიონებში აფხაზეთის მთავრობის სახით, უნდა დაიტვირთოს განსაკუთრებული უფლებით, აფხაზეთში დაბრუნების ორიენტაციით. **„მე როგორც აფხაზეთიდან დევნილს, მაქვს იმის განცდა, რომ საქართველოს ტერიტორიული მდგომარეობის საკითხი დაიძვრება მკვდარი წერტილიდან და თუ ვინმეს დისკომფორტი ექმნება აფხაზეთის მთავრობის სახელწოდებასთან დაკავშირებით, მომავალში ისიც დასაშვებია, რომ შეიცვალოს სახელწოდებაც და შედგეს იმ სახის ორგანოდ, რომელიც იქნება საქმიანი, შედეგზე ორიენტირებული, რომელიც უზრუნველყოფს მომავალში დევნილების ნაწილ-ნაწილ დაბრუნებას“,** – აღნიშნა ოთარ ბერიშვილმა.

ოთარ ბერიშვილის განმარტებით მას ბევრი უმუშავია განსვენებულ ლორიკ მარშანიასთან ერთად ქართველებისა და აფხაზების შერიგების საკითხთან დაკავშირებით. **„სახალხო დიპლომატიის კუთხით აუცილებლად უნდა დავიწყოთ აფხაზებთან პირდაპირი დიალოგი, ამიტომაც მიმაჩნია, რომ ყველა რესურსი უნდა იყოს მიმართული აფხაზებსა და ქართველებს შორის ნდობის აღდგენისა და შერიგებისთვის. აფხაზების მონაცემებით, აფხაზეთში 58 000 ქართველი ცხოვრობს და ყველა მათგანი ლოცულობს ქართველების დაბრუნებაზე. აფხაზებიც არ არიან ამ საკითხის მიმართ რადიკალურად განწყობილნი. აფხაზებმა ვერ მოახერხეს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან იქ მცხოვრები აფხაზების ჩამოსახლება. გაველურდა რაიონები და სოფლები, სხვა ეროვნების ჩამოსახლებაც არ უნდათ, ჩვენი დაბრუნებაზე წინააღმდეგნი არ არიან, მაგრამ შიშობენ, არ გვენდობიან, ამიტომ აუცილებელია დროზე ჩავერთოთ დიალოგში, იმისათვის, რათა აფხაზები დარწმუნდნენ, რომ ჩვენ არა ვართ მათი მტრები“,** – განაცხადა ოთარ ბერიშვილმა.

ალბათ რამდენიმე დღეში გადაწყდება აფხაზეთის დევნილი მთავრობის ბედი.

ლადო ქირია,
ზუგდიდი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

რა „სამშვიდობო“ მისიის შესრულებას დააკისრებს სტრატეგიული პარტნიორი საქართველოს?

წინა წერილში აღვნიშნე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნებს საქართველოსთვის და განსაკუთრებით დამარცხებული ნაციონალებისთვის.

დამოუკიდებლობის 20 წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკოსებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ აშშ-ის არჩევნები საქართველოსთვის ღვიძლი საქმე გამხდარიყო. პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის, რომ „ქართული ოცნება“ – ამერიკული ოცნებაა, ხოლო ფილოსოფოსი – სანატრელი ამერიკა ივანიშვილის სახით ჩვენთან მოვიდაო – ნათელჰყოფს „ახალ ქართველთა“ ბატონყმურ განწყობას ე.წ. სტრატეგიული პარტნიორის მიმართ.

ის, რომ გამარჯვებულ „ოცნებაში“ უდიდესი უმრავლესობა, თუ ყველა ერთად აღებული არა, ისევე ეთაყვანება ამერიკას, როგორც წინა ხელისუფლება, საკამათო არ არის. საკამათო ისაა, რამდენად შეძლებს წინა ხელისუფლების საგარეო კურსის გამგრძელებელი ახალი ხელისუფლება რუსეთთან ფართოდ რეკლამირებული ურთიერთობის დალაგებას. რუსეთთან ურთიერთობა სულაც არ არის აკვიატებული ცნება, რამეთუ ახლო მომავალში თუ არა, გვიან საკითხი ისედაც გადაიჭრება, მით უმეტეს, როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამის მოსურნეა.

უშლის თუ არა საქართველოს აშშ-თან მეგობრობა რუსეთთან კონსტრუქციული ურთიერთობების ქონას? ეს შეკითხვა არაერთხელ დაისმება და პასუხიც გაეცემა – ცხადია, დადებითი – იმათი მხრიდან, ვინც თვალს ადევნებს აშშ-რუსეთის ურთიერთობას და ორი სუპერ სახელმწიფოსადმი საქართველოს დამოკიდებულებას.

პოლიტიკაში ნაკლებად გაცნობიერებული რიგითი ადამიანი ვერაფრით ჩაწვდება ორთა ურთიერთობის კულუარულ ლაბირინთებს, სადაც ჯაშუშობა, კვანტის დადება, ერთმანეთის წინააღმდეგ მტრული ნაბიჯების გადადგმა, მოწინააღმდეგის ბანაკში რევოლუციების მომზადება, ერთმანეთზე სამხედრო უპირატესობის მოპოვების მიზნით გამალებული შეიარაღება და სხვა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება.

ფასადზე არის „გადატვირთვის“ პროცესი, ერთობ გაპიარებული ღონისძიება. ფასადურად აშშ-რუსეთი პარტნიორი ქვეყნებია მთელ რიგ საკითხებში. კულუარულად – სასტიკი მოპაექრენი, რის შესახებაც ალალად აღნიშნა საარჩევნო კამპანიის დროს მიტ რომნიმ.

რუსეთი უდავოდ აიტანდა საქართველოს ჩვეულებრივ ურთიერთობას აშშ-თან, მაგრამ სტრატეგიულს – ვერა. რუსეთს უაღრესად აღიზიანებს საქართველოსა და დასავლეთის გამუდმებული ლაპარაკი ნატოში შესვლასთან დაკავშირებით. ოფიციალური რუსეთის განცხადებით, ნატოში შესული საქართველო მიუღებელია.

საქართველო რომ ტერიტორიულად პორტუგალიის ადგილზე მდებარეობდეს, რუსეთი სიტყვასაც არ დაძრავდა საქართველოს ნატოში გაწევრებაზე, მაგრამ საქართველო რუსეთის სამხრეთის მეზობელია, მოსაზღვრე ქვეყანაა და მისი ნატოში შესვლით ნატოს საზღვარი სამხრეთიდან შემოეკვრება რუსეთს. ასე რომ, „ოცნების“ ლიდერთა განცხადება – ნატოც და რუსეთიც – უფრო აბსტრაქციის ნაყოფია, ვიდრე რეალობის.

რუსეთთან დალაპარაკების მსურველი ახალი ხელისუფლება წინაპირობასაც აყენებს - აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან საელჩოების, სამხედრო ბაზების გაყვანა, რაც თავისთავად ნიშნავს ქართული სურვილის (დალაპარაკების) გაბათილებას.

რუსეთი არსად იჩქარის. მას საქართველოს ტერიტორიის 20% აქვს მითვისებული, რომელზედაც 2 „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ არსებობს. ტერიტორიული საკითხის გადაუჭრელობა რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. მას იმედი აქვს, რომ მრავალი წლის შემდეგ, თუკი მანამდე არაფერი მოხდა, საქართველოში დაკარგულისადმი დამოკიდებულება განელდება და მხოლოდ სუფრაზე სალაპარაკო თემად დარჩება.

რუსეთთან მოლაპარაკება შეიძლება გაიმართოს, მაგრამ უშედეგო იქნება, ვიდრე საქართველო არ შეწყვეტს ნატოში შესვლაზე გაუთავებელ ლაპარაკს.

არსებობს არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი – აშშ. **საქართველოს რუსეთთან ჩახუტების სურვილი არ უნდა ჰქონდეს.** მას ურჩევნია საქართველო-რუსეთის უკვე ჩამოყალიბებული მტრობა, ვიდრე ურთიერთობა. ამისათვის მას ასეულათასობით დოლარი აქვს დახარჯული. აშშ-სათვის საქართველო ის სადგისი იყო რუსულ დუმაში, რომელიც მუდამ დაძაბულად ამყოფებდა მეზობელს.

ალბათ დიდი თავისტეხა არ სჭირდება იმის ამოხსნას, ვინ აფინანსებდა თარგამაძეს დსთ-ს სივრცეში რევოლუციების ორგანიზებაში, ვისი ფულით და დავალებით იგზავნებოდნენ ჯან-ღონით სავსე მუტრუკები უკრაინაში არჩევნების დროს, ვინ იდგა ჩერქეზთა გენოციდის აღიარების უკან და ვინ აფინანსებდა ამ თემაზე თბილისში გამართულ არაერთ კონფერენციას, ვინ აყვირებდა საქართველოს, სოჭში, ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარების საწინააღმდეგოდ, ვინ აკეთებინებდა ნაცებს ტერორისტულ აქტებს და შემდეგ მათვე ადანაშაულებინებდა რუსეთს.

ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ფაქტები ხელისუფლებაზეა. მათი ამოძირკვა ახალი ხელისუფლების გადასაჭრელი საკითხია. ამ მიმართულებით ახალი ხელისუფლება უკვე დგამს პირველ ნაბიჯს, რუსეთთან გაცუდებული ურთიერთობის გამოსასწორებლად. ჯერ რუსეთზეა. მასთან ურთიერთობა ყოველგვარი მესამე მხარის გარეშე უნდა წარიმართოს. თბილისი-მოსკოვის საუკუნეობრივი კავშირებიდან გამომდინარე არ უნდა იყოს საჭირო მესამე მხარის შუამავლობა, მით უმეტეს ზედამხედველობა.

ივანიშვილის ინიციატივა მისასალმებელია. უფრო მეტად მისასალმებელი იქნება მედიაში გაშლილი მრავალწლიანი ანტირუსული პროპაგანდისთვის წერტილის დასმა. ნაცების დამარცხებასთან ერთად ეს რიტორიკა არმოუსვლელ წარსულს უნდა ჩაბარდეს, ისევე, როგორც ზემოთ ჩამოთვლილი მზაკვრობა, რასაც სისტემატურად იყენებდა სააკაშვილის ხელისუფლება მეზობელი რუსეთის მიმართ.

შეძლებს ახალი ხელისუფლება ამის გაკეთებას? სურვილის შემთხვევაში ყველაფერი შესაძლებელია, მათ შორის სტრატეგიული პარტნიორის დარწმუნება, რომ პატარა ქვეყანას არ ძალუძს, შეასრულოს ქვეყნისთვის საჩოთირო დავალება ისე, როგორც ამას ნაცები ასრულებდნენ.

მიუხედავად სიძნელისა, ეს პრობლემა დასაძლევია. აშშ შეეცდება საკუთარი პოზიციების განმტკიცებას, მაგრამ მოქნილი დიპლომატიის წყალობით, რაც, სამწუხაროდ, დიდი დეფიციტია, შესაძლებელია.

კავკასიაში ამერიკის პოზიციების განმტკიცებას ემსახურებოდა ამ ქვეყნის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილის ერიკ რუბინის ამასწინანდელი ვიზიტი თბილისში, ბაქოსა და ერევანში ვიზიტის დროს პრესასთან გაკეთებული განცხადებები სრულად არ ასახავდა მოლაპარაკებათა დროს განხილულ საკითხებს და მიღწეულ შეთანხმებას.

სტუმარს აინტერესებდა მთავარი – ხომ არ შეიცვლება ახალი ხელისუფლების პირობებში წინა ხელისუფლების მიერ ვაშინგტონისთვის მიცემული ფიცი ირანთან, სირიასთან, ახლო აღმოსავლეთთან დაკავშირებით. რუბინმა დაადგინა, რომ ყველაფერი ისე დარჩება, როგორც იყო.

„თბილისში გამართული მოლაპარაკების დროს განვიხილეთ ირანის მიერ ბირთვული იარაღის დამზადების საკითხი. თბილისი გააგრძელებს ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის საწინააღმდეგო საერთაშორისო პოლიტიკას. ჩვენ შესანიშნავად ვთანამშრომლობთ ისეთ საკითხში, როგორიცაა თურქეთ-სირია. საქართველო მზადაა, რეგიონში შეასრულოს სამშვიდობო მისია“, – განაცხადა რუბინმა.

ირანთან აშშ-ის დამოკიდებულების დაძაბვის შემთხვევაში ვაშინგტონი საქართველოს განსაკუთრებულ როლს ანიჭებს. რუბინი კმაყოფილი დარჩა ახალი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ავღანეთთან მიმართებაში. საქართველოს სამხედრო კონტინგენტი კვლავაც გაგრძელებს სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობას. საქართველოს ხელისუფლების განცხადება ჯერჯერობით წვეთი წყალივით წააგავს ნაცთა განცხადებას – **„შორეულ ავღანეთში ქართველი მეომრები იბრძვიან ტერორიზმისგან მსოფლიოს გადასარჩენად“.**

დასრულდა აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნები. ახლა უკვე ამერიკის ადმინისტრაცია განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ახლო აღმოსავლეთის საკითხებს, მათ შორის სირია-ირანს. ყველასათვის ცნობილია, რომ აშშ ვერაფერს გახდება გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ ანტისირიული გადაწყვეტილების მისაღებად. რჩება ერთი გზა – თურქეთის აქტიური ჩართვა პროცესში. სწორედ ამით არის განპირობებული აშშ-ის განცხადება თურქეთისთვის მხარის დაჭერის თაობაზე, ვითომდა ამ ქვეყნის მიმართ სირიის აგრესიის ასალაგმად.

აშშ-სა და ევროპის ქვეყნების სპეცსამსახურები აქტიურად არიან ჩართული ანტიასადური ძალებისთვის იარაღის მიწოდების და კოორდინაციის საქმეში. გერმანული „დოიჩე ველე“ წერდა: **„ცნობილია, რომ აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტები, რომლებიც იმყოფებიან თურქეთში, აკონტროლებენ სირიის მეამბოხე ჯგუფებისათვის იარაღის გადაცემის საქმეს“.**

სასაზღვრო პუნქტ ბაბ-ალ-ჰავალთან მეამბოხეებს მიეწოდებათ როგორც იარაღი, ისე კომუნიკაციების საშუალებები. ფულს ამ ღონისძიებისთვის ჰყოფენ საუდის არაბეთი, ყატარი, თურქეთი. აშშ ამბოხებულებს აწვდის სირიის არმიის გადაადგილების ინფორმაციას, ეხმარება მათ საკუთარი დაზვერვის შექმნაში. ბრიტანული ძ6 კვიპროსიდან აწვდის მეამბოხეებს სტრატეგიულ ინფორმაციას. საფრანგეთის სპეცსამსახური მუშაობს ასადის გარემოცვის გახრწნაზე, რათა მან მიატოვოს ასადი.

გერმანიის სპეცსამსახური ხმელთაშუა ზღვაში მცურავი სადაზვერვო გემ „ოკერიდან“ ინფორმაციას სირიის არმიის გადაადგილების თაობაზე, უგზავნის ნატოს – ის კი, თავის მხრივ – სირიელ მეამბოხეებს. გერმანიაში მცხოვრები „მუსლიმანი ძმების“ წევრები ფულით ეხმარებიან სირიის განმათავისუფლებელ არმიას.

ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ამერიკელი ექსპერტი ბილალ სააბი წერს, რომ სირია აივსო ისლამისტი ბოევიკებით, რომლებიც დაკავშირებული არიან „ალ ქაიდასთან“. ეს ორგანიზაცია აყალიბებს თავის ერაყ-სირიის ფილიალს. ამერიკელი სპეციალისტები თვლიან, რომ სირიის ოპოზიციაში ჯიჰადისტების შეღწევა გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს მოხდა ტუნისში, ეგვიპტესა და ლიბიაში. ბრიტანელებმა სირიაში ათას ხუთასი „ისლამის მეომარი“ დაითვალეს, თუმცა ამერიკელთა გათვლით ეს რიცხვი ათასობითაა.

სირიის სამოქალაქო ომში აშშ-ის თუნდაც ირიბი ჩარევა ერთობ დაძაბავს ახლო აღმოსავლეთის ვითარებას, წაახალისებს ბაშარ ასადის ხელისუფლების მხარდამჭერ ქვეყნებს აქტიური მოქმედებისაკენ. ასეთ დროს რა „სამშვიდობო“ მისიის შესრულებას აკისრებს აშშ-ის ადმინისტრაცია საქართველოს, ძნელად ამოსახსნელი არ არის.

სტრატეგიული პარტნიორობა სულაც არ ნიშნავს მხოლოდ ცალმხრივ ურთიერთობას – ამერიკული გრანტების სახით. ის ქართული მხრიდანაც მოითხოვს ხარკს. აქამდე ეს ავღანეთი და რუსეთის მიმართ არაერთი მანკიერი გამოხდომა იყო. თუ ამას სირიაც დაემატება, შემდეგ ირანიც – საქართველოს ბედს „ძაღლიც არ დაჰყეფს“. მძიმე ვითარებაში აღმოჩნდება ქვეყანა, გაცილებით მძიმეში, ვიდრე ოდესმე.

იმედია, ყოველივე ამას გაითვალისწინებს ახალი ხელისუფლება.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ ინფორმაცია

დერეფანი, შესაძლოა, ნატომ გამოიყენოს

მშენებლობის დამთავრების შემდეგ ბაქო-თბილისი-ყარსის დერეფანი შესაძლოა, გამოიყენონ როგორც სატრანზიტო მარშრუტი ISAF-ის მისიის კუთვნილი აღჭურვილობის ტრანსპორტირებისთვის – ამის შესახებ აზერბაიჯანის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე მუსა პანახოვმა განაცხადა.

აზერბაიჯანული მედიის ცნობით, ლაპარაკია მხოლოდ აღჭურვილობის და არა სამხედრო პერსონალის ტრანსპორტირებაზე. პანახოვმა ეს განცხადება ნატოს წარმომადგენლობასთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა, რომელსაც აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეც ესწრებოდა. შეხვედრის მიზანი იყო წარმომადგენლობის ინფორმირება საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის გავლით უსაფრთხო და მომგებიანი სატრანზიტო მარშრუტის შექმნის პერსპექტივების შესახებ. ნატოს წარმომადგენლობამ დაინტერესება გამოთქვა ამ პროექტთან დაკავშირებით და შეთავაზებული სატრანზიტო მარშრუტი მისაღებად სცნო. ISAF-ის სამხედრო პერსონალისა და აღჭურვილობის გამოყვანა ავღანეთიდან 2014 წლისთვის უნდა დასრულდეს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

სახალხო დამცველი და „ფერადების“ დამცველები

(მეოთხე გვერდიდან) ასე რომ, ამ ორგანიზაციასთან გუშინდელი თუ გუშინწინდელი თანამშრომლობა და გარედან მიღებული ფულით არსებობა სწორედაც დიდი მინუსია და არა – პლუსი, ხოლო პოლიციის შენობასთან, მერიასთან გამართული ერთჯერადი აქციები და ჰომოსექსუალების (იეღოველებთან ერთად) აქტიური დაცვა, დიდი ვერაფერი დამსახურებაა საქართველოს მოსახლეობის წინაშე, იმ ხალხის წინაშე, ვისაც გამუდმებული ყურადღება და დახმარება ესაჭიროებოდა მთელი ცხრა წლის მანძილზე, რასაც ახორციელებდნენ ზემოთ ჩამოთვლილი ჭეშმარიტი უფლებადამცველები, ხალხის დამცველები. ამის საპირწონედ, გურჩიანის მაქებარი ჟურნალისტები (შავერდაშვილი და ზურიაშვილი) გვეუბნებიან, რომ მათი კანდიდატი ერთხელ(!) დიდი შემართებით იცავდა ჟურნალისტების უფლებებს, და სწორედ ამიტომ მის კანდიდატურას 100 ორგანიზაცია უჭერს მხარსო, თუმცა მშვენივრად აცნობიერებენ, რომ 100 არასამთავრობო ორგანიზაციაზე აპელირება აბსოლუტურად უადგილოა, რადგანაც მეორე კანდიდატს ასევე 100-ზე მეტი ორგანიზაცია უჭერს თურმე მხარს, მესამეს – 125(!), ხოლო მეოთხეს, კერძოდ, დიმიტრი ლორთქიფანიძეს – 72 000 (!) ადამიანი, მათ შორის პატრიარქის მდივანი და სასულიერო აკადემიის რექტორი. ყველა მათგანს, გურჩიანისგან განსხვავებით, ხალხი კარგად იცნობს მათი საქმიანობიდან გამომდინარე (სხვა თემაა, მაგრამ, ისე მაინც, ეს რამდენი ორგანიზაცია ყოფილა საქართველოში, სულ ცოტა – 350! საინტერესოა, რითი არსებობს მათი უმეტესობა, ვინ უხდის მათ ფულს. გახდება ამ, უცხოეთიდან დაფინანსებული ორგანიზაციების წყაროები და ხარჯების დანიშნულება ცნობილი? ცოტა ეჭვი მეპარება!).

3. აშკარა ნეგატიური დამოკიდებულება მოსახლეობისა მისი კანდიდატურის მიმართ, რაც დადასტურდა ფეისბუკის მომხმარებლების მყისიერი გამოხმაურებით ბიოგრაფიულ მონაცემებზე.

ამ სამი მიზეზის მატარებელი ადამიანის სახალხო დამცველად წარმოდგენაც კი ძნელია.

ეს, რაც შეეხება გურჩიანის კანდიდატურას. ახლა გადავიდეთ სახალხო დამცველის აშკარად გამოკვეთილ, ყველაზე პოპულარულ კანდიდატზე (საზოგადოების მხარდაჭერის მასშტაბებიდან გამომდინარე) – დიმიტრი ლორთქიფანიძეზე, და ვნახოთ, რაში სდებენ მას ბრალს გურჩიანის მხარდამჭერი „არასამთავრობოები“.

რაც ყველაზე საინტერესოა, ლორთქიფანიძისთვის წაყენებული ბრალდება მდგომარეობს ჰომოსექსუალების (და მათნაირების) არა უფლებების დარღვევაში ან არდაცვაში, **არამედ მათთვის მხარდაჭერის, სოლიდარობის არგამოცხადებაში!** ეს კი ამ „არასამთავრობოების“ შეხედულებით უკვე უფლებების დარღვევის კატეგორიაში გადის. ეს არის ლორთქიფანიძისთვის წაყენებული ერთადერთი(!) „ბრალდება“.

სანამ „არასამთავრობოების“ ბრალდების ირგვლივ ცოტა ვრცლად ვიტყოდე, მანამდე კიდევ ერთხელ განვმარტავ ბევრჯერ განმარტებულს, თუ რატომ ვსვამ ბრჭყალებში არასამთავრობოებს, ან წინ რატომ ვუმძღვარებ „ე.წ-ს“. **არ შეიძლება ორგანიზაცია, რომელსაც უცხო(!) სახელმწიფოს მთავრობა(!) აფინანსებს, თავის თავს უწოდებდეს არასამთავრობოს და ობიექტურობაზე ჰქონდეს პრეტენზია!** ამ ორგანიზაციების ლიდერებს (ამერიკაში გაწვრთნილებს!) თავი ისე მოაქვთ, თითქოს „მწვანეებით“ კარგად გაჯერებულ გრანტებს სულ ეროვნული საქმეების საკეთებლად უკუჭავდნენ ჯიბეებში და არა – ჰომოსექსუალების და იეღოველების გასაჯეჯილებლად. ხომ აშკარაა, რომ ერთსულოვნებას და, გნებავთ, გამბედაობას ეს ორგანიზაციები სწორედ ამ „უმცირესობების“ დასაცავად იჩენენ, და არა – ქართველი ერის, მისი ენის, მისი გადამრჩენი მართლმადიდებლობის უფლებების დასაცავად. მათ შემხედვარეს (სათავეში „თავისუფლების ინსტიტუტი“!), შეიძლება გული აგერიოს კაცს!

მართალია, ახალი ხელისუფლება, ყველაფერთან ერთად, გვპირდება არა „შუშის“, არამედ, ჭეშმარიტ გამჭვირვალობას ყველა სფეროში, მაგრამ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. **აუცილებელია ვიცოდეთ, ანუ ასევე გამჭვირვალე იყოს ყველა ორგანიზაციის საქმიანობა, განსაკუთრებით კი – გარედან (!) დაფინანსებულების,** მათი შემადგენლობა, ამოცანები და, რაც უმთავრესია, დაფინანსების ზუსტი ოდენობა და წყაროები (ლამის თავდაცვის სამინისტროს ხარჯებში ჩაგვახედონ და ეს „არასამთავრობოები“ რა გახდა, ვინ გვიშლის ამ ინფორმაციის მიღებაში ხელს?).

ახლა, ლორთქიფანიძისთვის წაყენებული ბრალდების, ანუ მისი მხრიდან ჰომოსექსუალების უფლებების „დარღვევის“ თაობაზე. ლორთქიფანიძეს, ანალოგიურად რომ „დაერღვია“ ადამიანის სხვა უფლებები, დარწმუნებული ვარ, მას არავითარი რეაქცია არ მოყვებოდა „არასამთავრობოების“ უფლებადამცველების მხრიდან, მათ ხომ ყველაზე დიდი გართულება (თუ დავალება!) სწორედ სექსუალურ უმცირესობებთან (და რელიგიურ, კერძოდ, იეღოველებთან) დაკავშირებით აქვთ.

საქმის არსში ადვილად ჩასაწვდომად თავიდანვე უნდა გავმიჯნოთ ის უფლებები და ინტერესები, რასაც ეწინააღმდეგება ლორთქიფანიძე. უფლებებს რაც შეეხება, იგი არ იცავს ჰომოსექსუალების იმ უფლებებს, უფრო სწორად კი, ეწინააღმდეგება მათი იმ ინტერესების განხორციელებას, რომლებიც ლახავენ უმრავლესობის უფლებებს და ზიანის მომტანი არიან საზოგადოებისთვის. კონკრეტულად და მოკლედ კი, **იგი, ისევე როგორც ყველა ნორმალური ადამიანი, კატეგორიული წინააღმდეგია ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონების, ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდის და ჰომოსექსუალების მიერ ბავშვების აღსაზრდელად აყვანის. რა არის ამაში მიუღებელი და დასაგმობი?!**

ნებისმიერ შემთხვევაში, თუ გულით გვსურს მტყუანმართალის გარჩევა, თავიდანვე უნდა გავერკვეთ ორივე მხარის მოტივებში, ინტერესებში და,იმის მიხედვით, სასარგებლოა თუ საზიანო საზოგადოებისთვის მათი განხორციელება, დასკვნებიც სულ ადვილად გაკეთდება. ამიტომ, მოდით ვიკითხოთ: რა არის ყველა ნორმალური ადამიანის (მამაკაცის და ქალის) ინტერესი სექსუალური კუთხით, გარდა სიამოვნების მიღებისა? ცხადია, მისნაირების ან უკეთესების (პრინციპიდან – „ის ურჩევნია მამულსა...“) მოვლენა ამ ქვეყანაზე, ანუ საკუთარი ჯიშ-ჯილაგის გამრავლება-შენარჩუნება და ამით, იმავდროულად, სამშობლოს დაცვის უზრუნველყოფა (ლიბერტარიანელების ძალისხმევით, სამწუხაროდ, „სამშობლო“ და „პატრიოტი“ იშვიათად ხმარებულ სიტყვათა კატეგორიას მიეკუთვნება დღესდღეობით!), რათა სხვამ ვერ მოახერხოს ძალადობრივი ან დემოგრაფიული ექსპანსიის გზით ჩვენი მიწის დაპყრობა ან ჩვენი ჩანაცვლება. ესაა უმთავრესი და განმსაზღვრელი ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის და, ცხადია, საკუთარი თავისთვის დედობის, მამობის უდიდესი სიხარულის მინიჭება!

რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ჰომოსექსუალების ინტერესებიც იგივეა – სექსუალური სიამოვნება და გამრავლება, მეთოდებშია მხოლოდ „პატარა“ განსხვავება. თუ რა გზით მიიღებენ ისინი სიამოვნებას, ეს მათი ნებაა და ამის უფლებას არავინ (არც ლორთქიფანიძე) უზღუდავს; რაც შეეხება „გამრავლებას“, ამას ისინი აპირებენ არა ტრადიციული, „დრომოჭმული“ გზით, არამედ – „გაფერადების“ გზით, სხვების ხარჯზე, ანუ პროპაგანდით იმისა, თუ რა მშვენიერია ცისარტყელასავით ფერადოვნება, როგორი ლამაზები (განსაკუთრებით, მაკიაჟ-მეტყველება-მიხვრა-მოხვრაში!) და სინიმუშონი არიან „ფერადები“, თავის ჯიშზე და ერზე მაფიქრალნი ხომ არიან და არიან!

ადრეც აღმინიშნავს და ახლაც გავიმეორებ – უფლებადამცველებს და იურისტებს რომ ეძახიან საკუთარ თავს, მხოლოდ ერთ შეკითხვაზე გაგვცენ პასუხი საჯაროდ და დასაბუთებულად: **არიან თუ არა ჰომოსექსუალები საზოგადოებისთვის სასარგებლონი, კერძოდ, ერის გადაშენებისგან დაცვის თვალსაზრისით, ანუ დემოგრაფიის კუთხით,თუ ეს მოვლენა საზიანოა ნებისმიერი ერისთვის?**

ჰომოსექსუალიზმის დაცვის დაძალება კანონის ძალით მხოლოდ ერთი პასუხის შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ ამ „არასამთავრობოების“ იურისტები დაგვარწმუნებენ, რომ ჰომოსექსუალები იმდენად სასარგებლონი არიან, რომ ერზე ფიქრის, გამრავლების პრობლემის გადაწყვეტა მათ უნდა მოვუხსნათ, გავანთავისუფლოთ ისინი ამ, ყოველი მოქალაქის სავალდებულო ტვირთისგან და ის ჰეტეროსექსუალებს ავკიდოთ, ჰომოსექსუალებს კი მხოლოდ მათებური სექსუალური სიამოვნება დავუტოვოთ „მოვალეობად“, და მათი დიდი სარგებლიანობიდან გამომდინარე, ხელი შევუწყოთ გამრავლებასა და ინტერესების განხორციელებაში. ამ ბრწყინვალე მიმდინარეობის მოწინააღმდეგენი კი, ცხადია, მიწასთან უნდა გასწორდნენ ე.წ. არასამთავრობოების ხელით, როგორც არაადამიანები, ჰომოფობები, ქსენოფობები, როგორც საკუთარ ერზე და ეროვნებაზე ეგოისტურად მაფიქრალი ადამიანები, და არა – მსოფლიომოქალაქეობაზე და გლობალურ ხელისუფლებაზე მეოცნებენი!

ყოვლად დაუჯერებელია, ეს ე.წ. დამცველები იმდენად გამოთაყვანებულები იყვნენ, რომ ვერ ხვდებოდნენ, თუ რა უდიდესი საფრთხის შემცველია ჰომოსექსუალობა მცირერიცხოვანი ერებისთვის. რომელ უფლებების დაცვაზეა ლაპარაკი, როცა ეს „უმცირესობა“ გადაშენების საფრთხის წინაშე აყენებს ერს! ასეთ მოძრაობას, მიმდინარეობას, უმცირესობას თუ უმრავლესობას უნდა ავუკრძალოთ თავიანთი „ორიენტაციის“ რეკლამირება, საბანქვეშ „იგულაონ“ როგორც უნდათ, ამ უფლებებს არავინ შეუზღუდავს, მაგრამ საბანს ნუ გადაიხდიან და „შემოგვიერთდით“, ანუ „შემოგვიწექით“, „გაფერადდით“ გამოსვლების უფლება მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეთ, ყოველი მსგავსი გამოხდომა უნდა დაისაჯოს! ისე კი, ჩვენ, ბედისგან (ბუნებისგან) დაჩაგრულებს, ანუ ჰომოსექსუალებს კი არ უნდა დავუპირისპირდეთ, არამედ მათ დამცველ „უფლებადამცველებს“, თბილად მოკალათებულებს ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომელთა ანაზღაურება პირდაპირ პროპორციულია იმისა, თუ რამდენად ეფექტურად გადაეფარებიან და მწვანე შუქს აუნთებენ ჩვენი საუკუნის ყველაზე საშიშ მოვლენას – ჰომოსექსუალიზმს.

სწორედ ეს ჟურნალისტები, იურისტები და სხვებიც უნდა გავატაროთ კრიტიკის ქარცეცხლში, ისეთში, როგორსაც იმსახურებს ყველა, თავისი ერის მომავლის ფეხებზე დამკიდებელი! ესენი უნებურ შეცდომას არ უშვებენ, ესენი არიან სულგაყიდულები და, თუ ისინი ჩემს ამგვარ შეფასებას არ ეთანხმებიან, მაშინ დაასაბუთონ თავიანთი პოზიცია და ადამიანის უფლებებზე სიტყვების რახა-რუხის ნაცვლად ის გვითხრან – **შეიძლება თუ არა ისეთი რამის ან ვინმეს დაცვა და, მით უფრო, წახალისება, თუ ეს რამე ან ვინმე გადაშენებით და დეგრადაციით ემუქრება ერს?** და თუ პირიქითაა – აშენებით და სულიერი ამაღლებით „გვემუქრება“, მაშინ ესეც დაგვისაბუთონ. და, თუ ამ კითხვაზე პასუხს ადრინდელივით თავს აარიდებენ, სრული იურიდიული და მორალური უფლება გვექნება დავასკვნათ, რომ ეს „უფლებადამცველები“ ჰომოსექსუალებზე ბევრად საშიშნი არიან, რადგანაც ჰომოსექსუალები, რაც არიან, ის არიან (მათდაუნებურად, დაბადებიდან თუ შემდგომი პერიოდიდან), მათი დამცველები კი (ჰეტეროსექსუალებს ვგულისხმობ ამ შემთხვევაში, ცხადია) სულგაყიდულები და ტრეინინგებით ტვინგადაბრუნებულები, მწვანე კუპიურებით გონება და სინდის-ნამუსდაბინდულები არიან! ამიტომ „ცეცხლი“, მათი და მხოლოდ მათი მიმართულებით უნდა გაიხსნას!

იმდენად თვალშისაცემი და სწრაფად მზარდია ჰომოსექსუალობით გამოწვეული დამღუპველი შედეგები, რომ აუცილებელია ამ მოვლენისთვის სამართლებრივი სარჩულის დადება სასწრაფოდ. გასაგებია, რომ ამას წინ ეღობება მხოლოდ(!) იმათი გავლენიანი ნება, ვისაც მიზნად გლობალური დეპოპულაცია აქვს დასახული, რომლის განხორციელების გზაზე ომებთან, ხელოვნურ ეპიდემიებთან და შიმშილობებთან ერთად ჰომოსექსუალიზმს პირველი ადგილი აქვს დათმობილი, **თავისი მნიშვნელობით, ჰომოსექსუალიზმი ხომ კაცობრიობის სწრაფად პროგრესირებადი კასტრაციის ტოლფასია!**

მიუხედავად იმ საშიშროებისა, რასაც ჰომოსექსუალობა უქადის ყოველ ოჯახს, ქვეყანას, გურჩიანის მხარდამჭერთაგან ერთ-ერთი, „უფლებადამცველად“ ცნობილი ნინია კაკბაძე ერის ინტერესებზე მაღლა ჰომოსექსუალების ინტერესებს აყენებს, მართლმადიდებელ ეკლესიაში ხედავს ხიფათს და არა – იეღოველებში ან ჰომოსექსუალიზმში, და „მთელი საზოგადოების სირცხვილად“ მიიჩნევს, თუკი სახალხო დამცველის პოსტზე დიმიტი ლორთქიფანიძეს წარადგენენ. ამ ტუტუცი, გადაჯიშებული (სამწუხაროდ!), გადამთიელის ხელებში მიჩერებული და სულგაყიდული ხალხის მომრავლებაა ჩვენი საზოგადოების სირცხვილი. ჩვენი სირცხვილია ისიც, რომ ამას უბედავენ ერს, დედაეკლესიას და ყველა ჩაგრულის ჭეშმარიტ დამცველს, შვიდი შვილის მამას და ღვთისმოსავ კაცს დიმიტრი ლორთქიფანიძეს.

მართლაც სირცხვილი **იქნება ახალი ხელისუფლებისა, თუ სახალხო დამცველად „ენდიაის“ რომელიმე ყოფილ თანამშრომელ „ენჯიოუშნიცას“ ამჯობინებს!**

იაკობ ლეჟავა,
4 ნოემბერი, 2012

◎ ინფორმაცია

ირაკლი ალასანიამ სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაური წარადგინა

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ მუხროვანის სამხედრო ბაზა დაათვალიერა.

როგორც ირაკლი ალასანიამ ჟურნალისტებს სამხედრო ბაზაზე განუცხადა, ეს არის გეგმიური შეხვედრა სპეციალური ძალების სასწავლო ცენტრში და რეინჯერთა ბატალიონში.

„ეს შეხვედრა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან პირდაპირ დავინახე რამოდენა მზადყოფნა და საბრძოლო სულია ჩვენ მეომრებსა და ჯარისკაცებში. გავეცანი წვრთნების მეთოდოლოგიას, მომზადების ხარისხს და შემიძლია ვთქვა, რომ ერთ-ერთი უმაღლესი შეფასება შეიძლება მივცეთ ჩვენი სპეციალური ძალების მომზადებას“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ. თავდაცვის მინისტრმა მუხროვანის სამხედრო ბაზაზე სპეციალური ოპერაციების ძალების მეთაური მაიორი დიმიტრი კიკნაძე წარადგინა. თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, 2006-2008 წლებში დიმიტრი კიკნაძე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სპეციალური ოპერაციების დაჯგუფების მეთაური იყო. მაიორ კიკნაძეს სავალდებულო სამხედრო სამსახური გავლილი აქვს უშიშროების სამინისტროს სადესანტო მოიერიშე ბრიგადაში. სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს უშიშროების სამინისტროს ხელმძღვანელ თანამდებობებზე. დიმიტრი კიკნაძემ მონაწილეობა მიიღო 2008 წლის აგვისტოს ომში. მიღებული აქვს მედლები „საბრძოლო დამსახურებისთვის“ და „მხედრული მამაცობისთვის“.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ „ჩასაფრებულის“ შენიშვნები

7 ნოემბერი, დილა...

9 საათის „კურიერი“ სენსაციური ინფორმაციით დაიწყო – როგორ დააკავეს დილაუთენია უმაღლესი სამხედრო პირები და როგორ დაკითხეს წინაღამეს, 4 საათის სიგრძეზე, ორმაგად „ექსი“ ბაჩო ახალაია. „რუსთავი-2“-ს არ შეუცვლია „ფრაკში ძრომის“ ტაქტიკა და ჯერ ხელისუფლების წარმომადგენელთ კი არ სთხოვა კომენტარები, არამედ ნაცუმცირესობისას და იმათ ამფსონებს; რას იზამ, ეგ მაუწყებლობა ხომ იგივეა მარად და მარად, არ სდევს ჟამთა სვლას, თუ გნებავთ, მთავრობათა ცვლას, „ბურბონების“ რესტავრაციას ელიან ალბათ...

ჰოდა, გადმოდგნენ ეკრანიდან „ცნობადი სახეები – ეს მინაშვილიო, ეს წიკლაურიო, ეს თუთბერიძეო... ასე გასინჯეთ, ხათუნა ოჩიაურიც გამოიყვანეს – მიმხცოვნებული პარლამენტარი მამის „ჩამოდეპუტატებული“ პირმშვენიერი ასული...

მინაშვილი ცოტა ნირწამხდარი, ცოტა გაფითრებული, ცოტაც დაბნეული კი ჩანდა, მაგრამ მაინც დაამუნათა დამკავებლები, მშიშრებად მონათლა, თითქოს თავად მშიშარა „ბელადის“ მყოლი თუ ქვეშევრდომი არ ბრძანდება; თუ ასეა, მეც დამიჭირეთო, იგულოვნა – „არხეინად“ იყავი, აკუ-ბიჭო, თუ მირთმეული გაქვს (და მგონი, არც უამისობაა), დაგიჭერენ. მე რომ მკითხო, დასაჭერი მარტო არამზადის მეგობრობითაც ხარ, როგორიც ის ვაუბატონი ბაჩანა ბრძანდება... წიკლაურმა, როგორც სჩვევია, მუავე სიფათით იაბდაუბდა... თუთბერიძემ – მე ვურჩევდი ახალ ხელისუფლებას, დაპატიმრებებით ნუ დაიწყებს მოღვაწეობასო. კი მაგრამ, ამ გომბიოს, ამ ნაცთა ეპოქის კლარა ცეტკინს, ამ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ნაინკუბატორალს ვინ ეკითხება, ნეტავ, რჩევას... თავისი რჩევებით მაშინ სად იყო, როცა „ნაცთა ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსაო“ უმიზეზოდ აპატიმრებდნენ თუ არბევდნენ თუ ქუჩაში ხვრეტდნენ, ხანაც სოფლებსა და სახლებს ჰაერიდან ბომბავდნენ იმ „ერისთვისგან“ იმ უმაღლესი „მთავარნაცდალიდან“ გულმიცემული და სანქცირებული ძალოვანნი... ასე რომ, სენიორიტა თუ სენიორა თუთბერიძეე, ეგ რჩევები შენთვის შეინახე, უკეთეს დროში გამოგადგება, თუ დაგიდგა...

დაკავებულ ყოფილ დიდჩინოსნებისთვის წაყენებული ბრალდება, ჯერჯერობით, უფლებამოსილებათა გადამატებაა; ოღონდ უმთავრესი გადამმეტებელი რომ ჯერ კიდევ „თავისუფალ მდგომარეობაშია“ და არა „აყვანილ მდგომარეობაში“? ის, ვინც ამოდენა უფლებები კონსტიტუციურად მოივარგა და უფლებათა უსაზღვროობის, თვალუწვდენობის მიუხედავად, მაინც ახერხებდა თუ „აკერკებდა“ იმათ გადამეტებას? და ყოველთვის ბოროტ „ჭრილებში“ იყენებდა?..

ოცნებაო, შენ ქართულო, ხარ ნაცების მძლეველი, კიდევ ბევრი ნაძირალა დაგრჩა დაუმწყვდეველი...

ბერდია ბედოიძე

◎ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲡ

თბილისში ორბელიანთა კუნძულის აღდგენისა და ახალი ტყე-პარკის გაშენების შესახებ

ᲑᲐᲢᲝᲜᲝ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ, ანჩისხატამდე ორად დატოტვილი მტკვარი ქმნიდა ორბელიანთა კუნძულს, რომელიც XIX საუკუნეში გენერალმა მადათოვმა შეიძინა.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გაყვანისას მდინარის ტოტი მიწით შეავსეს და დაიკარგა კუნძული, დარჩა მხოლოდ ე. წ. „მშრალი ხიდი“.

მტკვრის მარჯვენა ტოტის გახსნა და სანაპიროს მცირე ნაწილის გადატანა ალექსანდრეს ბაღსა და „თეატრი ათონელზე“ შორის, ორბელიანთა კუნძულს აღადგენს, რომელიც შეიძლება ძველი თბილისის ყველაზე ეგზოტიკურ უბნად იქცეს თავისი საოქრომჭედლო, სამღებრო, ხის დამმუშავებელი, ჭედურობის სახელოსნოებით, გობელენ-ფარდაგების საქსოვით, თბილისური დუქნებით, სუვენირების მაღაზიებით, ქართული სამზარეულოს ობიექტებით, მხატვრების უბნით.

კუნძული მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის უნდა იქნეს განკუთვნილი. ეფექტიანი იქნება კატარღებით მოძრაობა კუნძულსა და ჰესის კაშხალს შორის, სადაც შესაძლებელია ავტოსადგომის მოწყობა. ისტორიულ სახეს დაუბრუნებს კუნძულს ორივე სანაპიროსთან თაღიანი მცირე ხიდებითა და ბორნებით დაკავშირება, მტკვარზე მცირე მოტივტივე ბაქნების მოწყობა.

მსოფლიოს ქალაქებს აქვს მოქალაქეთა დასვენებისა და გართობის ტყე-პარკები ატრაქციონებითა და სხვადასხვა ობიექტებით. თბილისის ლამაზი მუშტაიდის ტყე-პარკი კი ქალაქის არასწორი განვითარების გეგმას (თუ უგეგმობას) შეეწირა.

მტკვრის ზედა წელზე, აშშ-ს საელჩოს გასწვრივ, არის კუნძული და მის ირგვლივ მოუვლელი ტერიტორია (ყოფილი ნაგავსაყრელით), რომელიც შეიძლება ულამაზეს ტყე-პარკად იქცეს. მდინარის ნაპირებზე და თავად კუნძულზე უკვე არის მრავალწლიანი ხეების ჭალა. იმ ტერიტორიაზე შეიძლება მუშტაიდის ბაღის უმოქმედო საბავშვო რკინიგზის გადატანა ინფრასტრუქტურიანად. კუნძულის სანაპიროსთან დასაკავშირებლად შეიძლება ანჩისხატთან აშენებული უფუნქციო საფეხმავლო ხიდის გამოყენება, რომელსაც დღეს დისონანსი შეაქვს ქალაქის ისტორიული უბნის ხასიათში, ახალი ტყე-პარკის კომპლექსში კი კარგად ჩაიწერება. ლითონის ხიდის სტილში შეიძლება აშენდეს ატრაქციონები, საზაფხულო თეატრი-ნიჟარა, ტირი, პარაშუტით გადმოსახტომი კოშკი, კვების ობიექტები, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები, მცირე არქიტექტურული ფორმები. ეფექტიანი იქნება ძველი თბილისიდან ქალაქის ახალ ტყე-პარკამდე კატარღებით მიმოსვლის მოწყობა, ტყე-პარკიდან ორბელიანების კუნძულამდე ტივებით დაშვება.

ბატონო ბიძინა, აღნიშნული საკითხების მოგვარებით თბილისს ლამაზ უბნებს შემატებთ.

პატივისცემით

ნოდარ კუჭავა,

საქართველოს სამეცნიერო-სარესტავრაციო-საწარმოო გაერთიანების ყოფილი უფროსი

„სრ“ რედაქციისგან: ბატონ ნოდარ კუჭავას წინადადება უთუოდ საყურადღებოა. ვფიქრობთ, ამ საკითხზე თავიანთ მოსაზრებებს გაგვაცნობენ ჩვენი არქიტექტორები და ქალაქმშენებლები.

◎ ᲨᲕᲔᲚᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ

დანგრეული პროფესიული განათლება უნდა აღდგეს

ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ყოფილი ხელისუფლების მიერ ჩადენილ უკანონო ქმედებებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია განათლების სისტემაში ჩადენილი გადაცდომა და არაერთი დანაშაული, რომელმაც ფაქტობრივად განათლებისა და მეცნიერების სისტემის ნგრევა გამოიწვია.

სავალალო შედეგი მოგვცა საქმისადმი არაპროფესიულმა მიდგომამ და მოჩვენებითმა რეფორმებმა.

მთლიანად დაინგრა პროფესიული განათლება გაუანალიზებელი ოპტიმიზაციის, გასხვისებისა და მისი ლიკვიდაციის შედეგად.

ერთმანეთში აირია დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლება. ათიათასობით ახალგაზრდას მოესპო პროფესიული განთლების მიღების შესაძლებლობა, დაუსაქმებელი დარჩა ათასზე მეტი პედაგოგი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის ბრძანებით 2009-2012 წლებში ლიკვიდირებულია სენაკის, ჩხოროწყუს, გორაბერეჟოულის, რუსთავის „იმედის“, ბორჯომის, კაზრეთის, ცაგერის, ზესტაფონის, დიდი ჯიხაიშის, კასპის, ქარელის, წინამძღვრიანთკარის, ქუთაისის №2 პროფესიული სწავლების ცენტრი. გარდა ამისა, მ. თოიძის სახელობის სამხატვრო, ხობის, ბათუმის №2, თბილისის პოლიტექნიკური სწავლების ცენტრები. აგრეთვე წინა წლებში ლიკვიდირებულ იქნა ზუგდიდის პროფესიული სასწავლებელი-კოლეჯი, თბილისის სატრანსპორტო, საჩხერის, თიანეთის, ნინოწმინდის, ხაშურის და დუშეთის პროფესიული სწავლების ცენტრები. ამასთანავე, კანონდარღვევით და პროფესიული განათლების სისტემის უგულებელყოფით გადაცემულია ტექნიკური უნივერსიტეტისათვის დიდი ჯიხაიშის და ტყიბულის პროფესიული ცენტრები, ახალქალაქის პროფესიული სასწავლებელი.

ამჟამად გამოიკვეთა საშიშროება, რომ აგრარულ უნივერსიტეტს და მის მფლობელს კახა ბენდუქიძეს მიეყიდოს ოთხი პროფესიული კოლეჯი: ოზურგეთის, გორის, თელავის და თბილისის პროფესიული კოლეჯი „იკაროსი“.

უსაფუძვლოდ, მოსახლეობის სურვილისა და ცენტრების ტერიტორიული განლაგების გაუთვალისწინებლად მოხდა თბილისში, ბათუმში, ხაშურის რაიონში პროფესიული გაერთიანება-ლიკვიდაცია.

კანონის უხეში დარღვევით და თითიდან გამოწოვილი მიზეზით 2011 წელს მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სამსახურიდან გაათავისუფლა სამი საუკეთესო ბაზების მქონე პროფესიული კოლეჯის მოწინავე დირექტორები: თამარ ტაბიძე, ზაზა ცირამუა და სერგო მაისურაძე.

ვინაიდან განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები უნდა ითვალისწინებდეს ევროსტანდარტების მოთხოვნებს და მიმართული უნდა იყოს პროფესიული უნარ-ჩვევების მქონე შიდა და საერთაშორისო ბაზრის შესატყვისი კადრების მომზადებისაკენ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივების გათვალისწინებით, დამსაქმებლებთან თანამშრომლობით, აუცილებელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შედგეს ქვეყნის პრიორიტეტული დარგების – აგრარული, ტურიზმის, მომსახურების სფეროს და სხვა დარგებისთვის ქვეყანაში პროფესიული განათლების ქსელის განვითარებისა და სრულყოფის პერსპექტიული გეგმა, რომელსაც დაამტკიცებს ქვეყნის პრემიერ-მინისტრი. ამისათვის საქართველოს მთავრობამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ხარჯებში უნდა გაითვალისწინოს სათანადო დაფინანსება და პროფესიული განათლებისთვის ყოველწლიურად გამოყოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გამოყოფილი ასიგნების 5-6 პროცენტი, რაც, სავარაუდოდ, 2013 წლის დასამტკიცებელი ბიუჯეტიდან შეადგენს 30 მილიონ ლარს.

ვითვალისწინებთ რა ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის პროფესიული განათლების აუცილებლობას და ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომობას, ამ დარგის მუშაკთა ერთი ჯგუფი წერილით მიმართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარეს და განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, შეისწავლონ ეს საკითხი და აღმოფხვრან 2009-12 წლებში ჩადენილი უკანონო ქმედებები.

ალექსანდრე ავალიანი

◎ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

თითქოს თბილისში ხელოვნური საცოცხლე გვაკლდა!

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲝ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ, ნება მიბოძეთ, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან მკითხველთა და სათანადო ხელისუფალთა ყურადღება მივაპყრო თბილისის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე წარმოქმნილ პრობლემას.

საქმე ის არის, რომ ბოლო რამდენიმე თვეა, თავისუფლების მოედანზე სრულიად უაზროდ შეზღუდეს რუსთაველის პროსპექტიდან წამოსული მანქანების მარცხნივ მოხვევის მონაკვეთი. როდესაც ქვაფენილი დაიგო, მოხვევის ნიშნული არასწორად დაიხაზა, რამაც შექმნა კიდეც გარკვეული პრობლემები. დღეს ეს ადგილი შემზღუდველი ბაგირებითაა გადაკეტილი. ამის შემდეგ მანქანების ნაკადი, რომელსაც რუსთაველზე სურდა მოხვედრა, წრეზე გაუშვეს. ის კი მეტად გადაიტვირთა, რადგან პუშკინის ქუჩა ცალმხრივი გახდა. ჩაიკეტა ტაბიძის ქუჩაც.

დასამალი არც ის გარემოებაა, რომ მოედანს პოლიტიკური თვალსაზრისითაც ხელოვნურად მიაყარეს მანქანების ნაკადი, რათა ხელი შეეშალათ „ქართული ოცნების“ ხალხმრავალი მიტინგებისათვის.

დღეს თითქოს ყველას დაავიწყდა ქალაქის ცენტრში ეს ხელოვნურად შექმნილი პრობლემა, რომელიც დაუყოვნებლივ გადასაჭრელია. ეს უაზროდ შექმნილი კვანძი უნდა გაიხსნას.

მალხაზ დოლიძე,

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ავტომოყვარული

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი დააკავეს

საქართველოში პროკურატურაში დაკითხვაზე გამოძახების შემდეგ დააკავეს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია.

ადვოკატ დავით დეკანოიძის სიტყვებით, დაკავება მოულოდნელი იყო, და ახალაიასთვის ჯერ ბრალდება არ წაუყენებიათ.

„გამოძიების დაწყებისთვის საფუძველი აბსურდულია, — განაცხადა დეკანოიძემ. — საკითხი შეეხება ახალაიას თავდაცვის მინისტრად მუშაობის პერიოდს. რამდენიმე გათავისუფლებული თანამშრომელი უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მან, თითქოს, მათ რამდენიმე პირის თანდასწრებით შეურაცხყოფა მიაყენა“.

ახალაია დაკითხვაზე გამოიძახეს სამშაბათს საღამოს. პროკურატურამ განაცხადა, რომ ის არის გამოძახებული სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტთან დაკავშირებული გამოძიების ფარგლებში მოწმედ.

ამ დროს პროკურატურაში არ დაუდასტურებიათ, თუ, კერძოდ, რომელ ფაქტზეა საუბარი. მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა განაცხადა, რომ არსებული ინფორმაცია შეეხება „ცალკეული პირების მიმართ გამოყენებულ არასწორ ფორმებს“.

„კონკრეტული დეტალები ამასთან დაკავშირებით ხელახალ გადამოწმებას საჭიროებს, რასთან დაკავშირებითაც ბატონი ბაჩო ახალაია გამოიძახეს მოწმედ“, — განაცხადა კბილაშვილმა.

ახალაია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ერთ-ერთ ყველაზე მახლობელ და გავლენიან მოკავშირედ ითვლება.

იგი იყო პენიტენციალური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აგრეთვე თავდაცვის მინისტრი მისი შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე დანიშვნამდე 2012 ივლისში.

ახალაია გადადგა საქართველოს ერთ-ერთ ციხეში წამების ვიდეოკადრების გავრცელების შემდეგ.

ამ კადრებმა საქართველოში საპროტესტო ტალღები გამოიწვია და ახალაიას გადადგომა იყო მოპროტესტეთა ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა. დემონსტრანტები აცხადებდნენ, რომ იგი მაშინ, როდესაც იყო საქართველოში სასჯელაღსრულების სისტემის ორგანიზატორი, არის ციხეებში მომხდარის მთავარი დამნაშავე.

BBC RUSSIAN.com

შეინარჩუნებს თუ არა ივანიშვილი პენიტენციარულ სისტემაზე კონტროლს

სიტუაცია საქართველოს ციხეებში დღითი დღე მწვავდება და მალე შეიძლება საერთოდ გამოვიდეს ხელისუფლების კონტროლიდან, გადაიქცეს ბიძინა ივანიშვილის ახალი მთავრობის მთავარ პრობლემად

პატიმართა ნათესავების საპროტესტო აქცია ქსნის კოლონიასთან გადაიზარდა შეტაკებაში დაცვასთან. ამ სასჯელაღსრულებითს დაწესებულებაში უკვე დაახლოებით 2 ათასი კაცი შიმშილობს. ამ დროს, მიტინგები ციხეების ხელმძღვანელობის გადადგომის მოთხოვნით თანდათან ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, იმუქრება, რომ გადაიზრდება საყოველთაო ბუნტად და აჯანყებად.

ორშაბათს ღამით აქციის მონაწილეებმა ქსნის № 15 კოლონიასთან მიიღეს ინფორმაცია ერთ-ერთი პატიმრისგან იმის შესახებ, რომ ხელისუფლებას განზრახული აქვს გამოიყენოს სპეციალური დანიშნულების ნაწილები წესრიგის დასამყარებლად სასჯელაღსრულებითს დაწესებულებაში, სადაც წინა დღით დაახლოებით 30 კაცმა გამოაცხადა შიმშილობა მოთხოვნით — გადააყენონ ციხის უფროსი ნუკრი ხუხუა.

პატიმართა ახლობლები შეეცადნენ, შეჭრილიყვნენ ციხის ტერიტორიაზე და სცემეს ერთ-ერთი მცველი. შემდეგ მათ გადაკეტეს კოლონიაში შესასვლელი და არსებითად იქ ბარიკადები გამართეს, არ უშვებდნენ არც ერთ მანქანას. ყოველივე მომხდარს ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ციხის დაახლოებით 2 ათასი პატიმარი. მოგვიანებით, ყველა მათგანმა დაიწყო შიმშილობა. ზოგიერთმა პირიც კი ამოიკერა.

თავისთავად აღსანიშნავია, რომ მომიტინგეებმა მიიღეს ინფორმაცია სპეცნაზის შესაძლო ამოქმედების შესახებ უშუალოდ ციხიდან მობილური ტელეფონით, არადა, ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ — ოქტომბრის მოვლენებამდე და ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლამდე — პატიმრებს მკაცრად ეკრძალებოდათ ტელეფონების გამოყენება. ამის გამო ისინი შეიძლება კარცერში მოხვედრილიყვნენ.

მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ახალი მთავრობა ხელისუფლებაში მოვიდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და ციხეებში მასსრად აგდების შეწყვეტის ლოზუნგით. მეთვალყურეთა უმრავლესობის აზრით, სწორედ წამებისა და მასსრად აგდების კადრები გლდანის № 8 ციხეში, აგრეთვე პროტესტის მასობრივი აქციები, რაც მთელ ქვეყანაში გაჩაღდა, გახდა განმსაზღვრელი მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხებისა და ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ გამარჯვებისა პარლამენტის არჩევნებში.

ათობით ათასი პატიმარი აშკარად ცდილობს, გამოიყენოს სიტუაცია, რათა შეიმსუბუქოს ხვედრი. მათ ესმით, რომ ივანიშვილის მთავრობას არ შეუძლია ავტორიტეტის დაუკარგავად მიიღოს მკაცრი ზომები. მაგრამ, მეორე მხრივ, მიტინგები და საპროტესტო აქციები ციხეებთან იძენენ სულ უფრო და უფრო ფართო ხასიათს, მოიცავენ პენიტენციარულ დაწესებულებებს მთელ ქვეყანაში.

ცნობილმა სამართალდამცველმა, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ ჩვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ მოვლენები ციხეებში — ეს არის გარდაუვალი რეაქცია ადამიანის უფლებათა მრავალწლიან დარღვევებზე.

„ეს ხალხი მრავალი წლის განმავლობაში იტანდა წამებასა და მასსრად აგდებას ციხეებში, ვერც კი ბედავდნენ ამაზე საუბარს, ვინაიდან ეშინოდათ უფრო მკაცრი წამებისა და ცემისა. და აი რეჟიმი დაეცა. ახლა მათ აქვთ შესაძლებლობა ისაუბრონ აშკარად. რასაკვირველია, მრავალწლიანი უკმაყოფილება ერთბაშად გამოვლინდა. არის შემთხვევები, როდესაც პატიმრებს არ შეუძლიათ აიყვანონ თავიანთი თავი ხელში და არღვევენ ყოველგვარ ჩარჩოებს თავიანთ საქციელებსა და მოთხოვნებში. მაგრამ ჩვენ მოვუწოდებთ ხელისუფლებას — გაგებით მოეკიდოს სიტუაციას და არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენოს ძალა“.

საბჭოთა ეპოქის მეორე დისიდენტი, ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი არ გამორიცხავს, რომ მღელვარებანი ციხეებში პროვოცირებულია პრეზიდენტ სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილი ჩინოვნიკების მიერ.

„დღეს მიმდინარე მოვლენები გვიბიძგებენ საკმაოდ სერიოზული ეჭვისკენ: როდესაც გაუქმდა ყოფილი, არაადამიანური და სადისტური რეჟიმი ციხეში, პატიმრებმა იგრძნეს შემსუბუქება და მოქმედებათა გარკვეული თავისუფლება. ამის გამოყენებას უკვე შეეცადა ყოფილი ხელისუფლება — პრეზიდენტის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომლის ინტერესებშიც ქაოსის შექმნაა. შეიძლება ვივარაუდოთ (ეს მხოლოდ ვარაუდია), რომ ისინი ყოველივე ამას ხელს უწყობენ“.

ფრი: მაგრამ როგორ შეეძლოთ ყოფილ ჩინოვნიკებს ასეთი მასშტაბური მოვლენების პროვოცირება?

— მათ შეუძლიათ წააქეზონ, შეაგულიანონ ისინი. მათ ხომ ციხეებში ჰყავთ აგენტები, რომლებიც თანამშრომლობდნენ მათთან მთელი ამ წლების განმავლობაში. მათი დახმარებით მეტად იოლია, მოახდინო დაძაბულობის პროვოცირება.

— თქვენი აზრით, შეიძლება ეს აქციები გადაიზარდოს მასშტაბურ ბუნტში ყველა ციხეში ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე?

— თუ ხელისუფლება აქტიურად არ დაუპირისპირდება ყოველივე მომხდარს და არ დაიკავებს სწორ პოზიციას, რასაკვირველია, ასეთი საფრთხე არსებობს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრმა სოზარ სუბარმა სპეციალურ ბრიფინგზე დაადასტურა, რომ, სპეცსამსახურების მონაცემებით, მასშტაბური აქციები მზადდება ყველა დანარჩენ პენიტენციარულ დაწესებულებაში.

მან დაადასტურა, რომ, უკიდურეს შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტრო იძულებული გახდება გამოიყენოს ძალა. მათ შორის პატიმართა ახლობლებისა და ნათესავების წინააღმდეგაც, რომლებიც, მისი სიტყვებით, ახდენენ პატიმართა პროვოცირებას.

ამ დროს, მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ მღელვარება ციხეებში დაიწყო მას შემდეგ, რაც პრესაში გაჟონა ცნობამ მომავალი ამნისტიის შესახებ. ამ მონაცემების თანახმად, ამნისტია არ შეეხება მათ, ვინც სასჯელს იხდის მძიმე დანაშაულისთვის, რაც, ბუნებრივია, იწვევს ამ მუხლებით დასჯილთა უკმაყოფილებას. ციხეების გარშემო დაძაბულობის შექმნით ისინი, არსებითად, აფრთხილებენ ხელისუფლებას მძიმე შედეგების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ მათ დატოვებენ სასჯელის მოსახდელად მაშინ, როდესაც სხვებს გაათავისუფლებენ.

rfi Русский

დედამიწის ზურგზე

სასიამოვნოს სასარგებლოსთან შეთავსება: კოლორადოსა და ვაშინგტონში პრეზიდენტის არჩევნებთან ერთად მოახდინეს პროფილაქტიკური მარიხუანის ლეგალიზება

2014 წლიდან კოლორადოში სპეციალურ მაღაზიებში შეიძლება ლეგალურად შეიძინო „ბალახი“, შენახვიდან ორი თვის შემდეგ ნარკოტიკი აღარ მიიჩნევა სისხლის სამართლის დანაშაულად. ამის გაკეთებას აპირებს „ამერიკული ჰოლანდიის“ შტატი. ლეგალიზაციის საკითხს წყვეტდნენ ორეგონის შტატის მცხოვრებლებიც, მაგრამ იქ მომხრეებმა მოითხოვეს ერთობ დიდი თავისუფლება.

* * *

აშშ-ში ამომრჩევლებმა წარმოაჩინეს არაჩვეულებრივი მისწრაფება: ხმას აძლევდნენ კლინიკური სიკვდილიდან და მუობიარობიდან ერთი წუთის შემდეგ

ხანდაზმულ მამაკაცს, რომელიც მივიდა ხმის მისაცემად ერთ-ერთ საარჩევნო უბანში მიჩიგანის შტატში, ბიულეტენის შევსების დროს გაუჩერდა გული. როდესაც გონს მოვიდა, მან უწინარეს ყოვლისა იკითხა, მოასწრო თუ არა შეესრულებინა თავისი ნება. ილინოისის შტატში მშობიარემ უარი განაცხადა წასულიყო კლინიკაში საარჩევნო უბნის გახსნამდე.

* * *

სირია რისკავს გახდეს ახალი სომალი

ასეთი აზრი გამოთქვა გაეროსა და არაბულ სახელმწიფოთა ლიგის სპეციალურმა წარმომადგენელმა ლახდარ ბრახიმიმ. სირიისთვის „სომალიზაციის საფრთხე სახელმწიფოს კრახის საფრთხეს და მუდმივ სამოქალაქო ომს ნიშნავს.

* * *

ნიუ-იორკში დახურავენ ყველა პარკსა და პლაჟს გრიგალის ახალ მოახლოებასთან დაკავშირებით

ეს ზომა ძალაში შევიდა 7 ნოემბერს 12 საათზე ადგილობრივი დროით და იგი იმოქმედებს, როგორც მინიმუმი, ერთი დღე-ღამის განმავლობაში. ხელისუფლებას ასევე განზრახული აქვს, მოახდინოს ქალაქის დაბლობი რაიონების მცხოვრებთა ნაწილობრივი ევაკუაცია. თუმცა, მერის სიტყვებით, იგი არ იქნება ისეთი მასშტაბური, როგორც გრიგალ „სენდის“ წინ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

აშკარაც, დაუჯერებელიც

სერგეი კაპიცა

ᲧᲝᲕᲔᲚ წელიწადს, სიახლესთან ერთად, სამწუხარო ამბებიც მოაქვს. სიტყვები იმის შესახებ, რომ „დამთავრდა ეპოქა“, რომლებიც თან ახლავს მორიგი გამოჩენილი თანამედროვის სიკვდილს, გაცვეთილია. აშშ-ში 2012 წლის 25 აგვისტოს გარდაიცვალა ნილ არმსტრონგი, ვინაც 1969 წლის 20 ივლისს პირველმა დაადგა ფეხი მთვარის ზედაპირზე. 14 აგვისტოს ჩვენგან წავიდა სერგეი კაპიცა, მეცნიერული დინასტიის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ლეგენდარული ტელეგადაცემის „აშკარა – დაუჯერებელი“ უცვლელი წამყვანი. სერგეი კაპიცას წასვლით დამთავრდა მისი განუმეორებელი პროგრამა „აშკარა – დაუჯერებელიც“.

სერგეი პეტრეს ძე კაპიცა დაიბადა 1928 წლის 14 თებერვალს კემბრიჯში, სადაც იმ დროს სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა მამამისი – გამოჩენილი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის მომავალი ლაურეატი პეტრე ლეონიდეს ძე კაპიცა. დედა – ანა ალექსის ასული კრილოვა, სახელგანთქმული გემთმშენებლის ალექსეი კრილოვის ქალიშვილი იყო. ალექსეი კრილოვი განასახიერებდა XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიის ინტელექტუალურ ძალას. მინდა შევახსენო ჩვენს მკითხველებს, რომ ჩვენი სასიქადულო მეცნიერები ნიკო მუსხელიშვილი და ილია ვეკუა მისი მოწაფეები იყვნენ. სერგეი კაპიცას ნათლია იყო გამოჩენილი ფიზიოლოგი ივანე პავლოვი. კაპიცების ოჯახურმა დინასტიამ, მართლაც რომ, უნიკალური წვლილი შეიტანა არა მარტო რუსეთის, არამედ მთლიანად მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

სერგეი პეტრეს ძე კაპიცა ოფიციალურად არის შეყვანილი პლანეტის ინტელექტუალურად ყველაზე აღიარებულ ადამიანთა რიცხვში. ს. კაპიცა 35 წლის განმავლობაში განაგებდა ქვეყნის უმსხვილეს ფიზიკის კათედრას მოსკოვის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში.

30 წელი ხელმძღვანელობდა ჟურნალს Scientific American – რუსული გამოცემის სახელწოდება „მეცნიერების სამყაროში“, რომელზეც მეცნიერთა არაერთი თაობა აღიზარდა. ბოლო დროს აქტიურად იკვლევდა ინფორმაციული საზოგადოების, გლობალიზაციის, დემოგრაფიის პრობლემებს. შედარებით ხანმოკლე პერიოდში დაწერა ათეულობით სტატია, რომლებშიც დასაბუთებულია დედამიწის მოსახლეობის ჰიპერბოლური ზრდის მოდელი.

40 წლის განმავლობაში უძღვებოდა პოპულარულ სატელევიზიო პროგრამას „აშკარა – დაუჯერებელი“, რომელიც ცენტრალური ტელევიზიის ეთერში პირველად 1973 წლის 24 თებერვალს გავიდა. კაპიცა შეყვანილია გინესის რეკორდების წიგნში, როგორც ყველაზე ხანგრძლივი სტაჟის მქონე სატელევიზიო პროგრამის წამყვანი. კაპიცამ – საბჭოთა კავშირში წყალქვეშა ცურვის პიონერმა – გადაიღო პირველი საბჭოთა წყალქვეშა ფილმი იაპონიის ზღვის შესახებ, რომელიც წარმატებით გადიოდა საერთაშორისო კინოფესტივალებზე, კერძოდ, კანში, სადაც მხოლოდ ჟაკ-ივ კუსტოს ფილმს ჩამორჩა.

იყო ევროპული აკადემიის, ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის (ვაშინგტონი), რომის კლუბისა და სხვა სამეცნიერო საზოგადოებების წევრი; კალინგის პრემიის ლაურეატი, რომელსაც იუნესკო გადასცემს მეცნიერების გამოჩენილ პოპულარიზატორებს.

სერგეი კაპიცა მოსკოვში გავიცანი ჩემი მეგობრების, აკადემიკოსების როალდ საგდეევისა და ევგენი ველიხოვის მეშვეობით. ჩვენი ურთიერთობა და მეგობრობა ათეულ წლებს ითვლის. როდესაც მოსკოვში ჩავდიოდით, აუცილებლად ვხვდებოდით ერთმანეთს. ყოველთვის დიდ სიხარულსა და კმაყოფილებას მანიჭებდა ის მაღალინტელექტუალური და, ამავე დროს, ძალდაუტანებელი ატმოსფერო, რომელიც ახლდა ხოლმე ჩვენ შეხვედრებს სერგეისთან და მის მეუღლესთან – ტატიანა ალიმის ასულთან. აქვე მინდა გავიხსენო სათაურში მოყვანილი სენტ-ეგზიუპერის სიტყვები. სერგეისთან ურთიერთობა დიდი ფუფუნება იყო, ამაღლებული, ზედმიწევით საინტერესო, იგი ხომ უაღრესად განათლებული და კომპეტენტური იყო მრავალ საკითხში.

ს. კაპიცასთან სახლში. მოსკოვი 1999 წ

მახსოვს, ერთ-ერთი სტუმრობისას მე, „როგორც ჟურნალისტმა“, ისე ჩამოვართვი ს.კაპიცას ვიდეო ინტერვიუ. მან გამიზიარა ძალიან საინტერესო ამბები თავისი დიდი ოჯახის ცხოვრებიდან, გარდა ამისა, მისგან შევიტყვე ანდრეი სახაროვის ცხოვრების ძალზე საინტერესო და ნაკლებად ცნობილი ფაქტები. მომავალში ვაპირებ ამ მასალის ჩვენებას ტელევიზიის საშუალებით.

ჩემთვის დაუვიწყარია 2000 წელს ბორჯომში, ლიკანში გამართული საერთაშორისო კონფერენცია პლაზმურ ასტროფიზიკაში, ჩემი დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი, რომელზეც მოსკოვიდან ჩამოვიდნენ სერგეი კაპიცა და ჩემი სხვა რუსეთელი მეგობრები: აკადემიკოსები ევგენი ავრონინი, ოლეგ კროხინი, როალდ საგდეევი, რითაც ბედნიერი ვიყავი. სერგეიმ ჯერ იქ წაიკითხა ბრწყინვალე ლექცია დედამიწის ჭარბი მოსახლეობის თემაზე, შემდეგ კი აბასთუმნის ობსერვატორიაზე. თბილისიდან მოსკოვში გამგზავრების წინ კი საინტერესო გამოსვლა ჰქონდა საქართველოს ტელევიზიაში. რა დამავიწყებს სერგეის ყურადღებას, როცა 2005-ში მოსკოვს გავემგზავრე, ონკოლოგიურ ცენტრში რთული ოპერაციის გასაკეთებლად. იგი ყოველდღე ურეკავდა ჩემს მკურნალ ქირურგს, რომელიც „დამატებით“ მზრუნველობას არ მაკლებდა.

2006 წელს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, დაიწყო ქართველების გამოძევება რუსეთიდან. ჩემი და სერგეი კაპიცას ინიციატივით შედგა ტელეხიდი მოსკოვი-თბილისი. განვიხილეთ შექმნილი პრობლემები. სერგეი პეტრეს ძე გაგებით და თანაგრძნობით შეხვდა ჩვენს არგუმენტებს.

დაუვიწყარია ჩვენი შეხვედრა 2007 წელს, სანკტ-პეტერბურგში, იუსუპის სასახლეში, სადაც ჰუმანიტარულ კვლევათა საერთაშორისო ფონდი „ტოლერანტობა“ ატარებდა მორიგ საერთაშორისო კონფერენციას – „კულტურათა და ცივილიზაციათა ურთიერთობა: დიალოგი თუ კონფლიქტი? თანხმობის სტრატეგიის ძიება III ათასწლეულში“. ს.კაპიცამ, როგორც ამ ფონდის სამეცნიერო საბჭოს წევრმა, მე და სახელგანთქმული კინორეჟისორი რ.ჩხეიძე მიგვიწვია ამ შეხვედრაზე. აქ ჩვენ ძალიან საინტერესო ადამიანებს შევხვდით, რომელთა შორის იყვნენ: პრინცი ელ ჰასან ბინ ტელალი – რომის კლუბის პრეზიდენტი და „ტოლერანტობის“ თანაპრეზიდენტი; ჩინგიზ აიტმატოვი (მაშინდელი ყირგიზეთის ელჩი ბელგიაში); ანდრეი სერგეის ძე კონჩალოვსკი, ბელა ახმადულინა და მისი მეუღლე, ბორის მესერერი – მხატვარი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ხელოვნებისა და პოლიტიკის კიდევ მრავალი ცნობილი წარმომადგენელი. კონფერენციის დროს, ერთ-ერთ ოფიციალურ მიღებაზე, ახმადულინამ წაიკითხა ცნობილი ქართველი პოეტის სიმონ ჩიქოვანის ლექსების მისეული თარგმანები, მე და რეზო ჩხეიძე აღელვებულები, მაგრამ სიამაყით ვუსმენდით მას კონფერენციაზე. წავიკითხე მოხსენება „ცივილიზაციათა ტოლერანტობა, დიალოგი“, რეზო ჩხეიძემ კი რელიგიის როლზე ისაუბრა. ჩემს გამოსვლაში მოვიშველიე გამოჩენილი ფილოსოფოსის მერაბ მამარდაშვილის სიტყვები: „ცივილიზაცია ძალიან ნაზი ყვავილია, ნაზი და სუსტი ნაგებობაა, და XX საუკუნეში სრულიად აშკარაა, რომ ამ ყვავილს, ამ ნაგებობას, რომელსაც ბევრგან ნაპრალი გასჩენია, დაღუპვა ემუქრება. ხოლო ცივილიზაციის საფუძვლების ნგრევა რაღაცას დამართებს ადამიანურ ელემენტს, სიცოცხლის ადამიანურ მატერიას, რაც ანთროპოლოგიურ კატასტროფაში გამოიხატება და რომელიც, ნებისმიერი სხვა შესაძლო გლობალური კატასტროფების პროტოტიპს წარმოადგენს“.

ს. კაპიცას ხსოვნისადმი მიძღვნილ ჟურნალში „მეცნიერების სამყაროში“ №9, 20012, მოყვანილია გამოჩენილი მწერლის ჩხარტიშვილის (ბ.აკუნინი) შესანიშნავი სიტყვები: „იმისთვის, რომ არ დაიკარგოს კავშირი საკუთარ ქვეყანასთან და საკუთარ წარსულთან, ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ის ადამიანები, რომლებიც „აკავშირებენ ეპოქებს“. ასეთები რუსეთში ძალიან ცოტაა და თანდათან უფრო ნაკლები რჩება. აი, რატომ არის სერგეი კაპიცას წასვლა, უდიდესი დანაკარგი. სერგეი კაპიცას ასაკი ემატებოდა, მაგრამ ქარტეხილების პერიოდშიც ღირსებები არ ღალატობდნენ. იგი იყო მშვიდი, ამაღლებული, ძველმოდური. თითქოს მთელი სამყარო იცვლებოდა, და ის კი – არა. მისგან ყოველთვის მოდიოდა ძვირფასი და ჩვენთვის იშვიათი თვისება – თანდაყოლილი კეთილშობილება.“ სერგეისთვის მეცნიერება და ზნეობა ურყევ ფასეულობას წარმოადგენდა – იგი ღირსეული ოჯახის ღირსეული შვილი იყო, დამოკიდებულება, რომელიც მას ჰქონდა საქართველოსადმი, სამაგალითო იყო. ასეთ საფუძვლებზე შეიძლება აიგოს მეგობრობა ქვეყნებს შორის.

დიდი განმანათლებელი და მოაზროვნე

„არსებობს მხოლოდ ერთადერთი ნამდვილი ფუფუნება – ესაა ფუფუნება ადამიანებს შორის ურთიერთობისა“

სენტ-ეგზიუპერი

ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲚᲝᲛᲘᲜᲐᲫᲔ,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

აკად. ი.ოსიპიანი, ს.კაპიცა. ჯ.ლომინაძე და აკად.რ. საგდეევი. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის 250 წლისთავი.2005 წ.

ჯ.ლომინაძე, აკადემიკოსები: ო.კროხინი,რ.საგდეევი და ს.კაპიცა. მოსკოვი 2008წ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ბუნებრივი რესურსების სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ადაოსნის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ყსანზე „ყსნის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - A, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 129 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ვანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ადაოსნის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	17 297 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 729,7 ლარი
10	უმთავრესი და განსაზღვრული საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 659 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში ნონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	ხელფასი	1
15	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგვის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „ძეგვის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 7 200 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ძეგვის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	965 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	96,5 ლარი
10	უმთავრესი და განსაზღვრული საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	393 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	ხელფასი	1
15	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 3		
ბუნებრივი რესურსებით		საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების

სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. სართიჭალის მიმდებარე ტერიტორია, მდ. იორზე „სართიჭალის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 60 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გარდაბნის ნუნიციპალიტეტი, სოფ. სართიჭალის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	8 045 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	804,5 ლარი
10	უმთავრესი და განსაზღვრული საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	1 809 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში ნონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	ხელფასი	1
15	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 4		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის		საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
გამცემი ორგანოს დასახელება		
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებითი სამუშაოები უნდა განხორციელდეს მხოლოდ მდ. მტკვრის მარცხენა სანაპირის მხრიდან და წყალუხვობის დროს ობიექტი დაცული უნდა იქნეს წყლის ნაკადისგან. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. თბილისი, მდ. მტკვარზე „ავჭალის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 102 300 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. თბილისი
8	აუქციონის საწყისი ფასი	13 717 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 371,7 ლარი
10	უმთავრესი და განსაზღვრული საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 943 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში ნონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	ხელფასი	1
15	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 5		
ბუნებრივი რესურსებით		საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

	სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	სამინისტროს ს.ს.ი.3 ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს საპარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. გურიანთაა მიმდებარე ტერიტორია, მდ. ნატანებზე „ნატანების" ქვიშა, ხრეშის სამადო (კატეგორია - C1+C2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 173 400 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. გურიანთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	23 251 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2 325,1 ლარი
10	უბრალო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	4 850 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სერიათი	1
15	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის ვადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 6

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.3 ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს საპარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორსანტიის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურზე „ორსანტის" ქვიშა, ხრეშის სამადო (კატეგორია - C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 137 100 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორსანტიის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	18 383 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 838,3 ლარი
10	უბრალო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 877 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სერიათი	1
15	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის ვადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 7

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.3 ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს საპარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორსანტიის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურზე „ჯოკის" ქვიშა, ხრეშის სამადო (კატეგორია – C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 119 700 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორსანტიის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	16 050 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 605,0 ლარი
10	უბრალო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 410 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სერიათი	1
15	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის ვადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 8

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.3 ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს საპარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორსანტიის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურზე „ჯოკის" ქვიშა, ხრეშის სამადო (კატეგორია – C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 119 700 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორსანტიის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	16 050 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 605,0 ლარი
10	უბრალო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 410 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სერიათი	1
15	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის ვადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 9

	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.3 ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაშის ტერიტორია, მდ. რიონზე „ჭყვიშის“ ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია – C_1+C_2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 245 700 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბაშის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	32 945 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3 294,5 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	6 789 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სურათი	1
15	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 10	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი პიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოების ტექნიკური ესაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით და მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ბ) ბურღვა-აფეთქებითი მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, აფეთქებები უნდა მოხდეს მცირე მუხტებით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინარეხის მიმდებარე ტერიტორია, „წინარეხის“ კირქვის (საცემენტე) გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 2 605 360 ტონა).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. წინარეხის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
14	სურათი	1
15	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 11	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. ქუთაისის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 122 100 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. ქუთაისის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	16 372 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 637,2 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	3 474 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სურათი	1
15	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 12	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „რუსთავის“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია – P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 150 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქ. რუსთავის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	20 113 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2 011,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	4 223 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყებისა და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სურათი	1
15	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 13	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ. გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	ᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐ
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხრანას მიმდებარე ტერიტორია, მდ. მაშავერაზე „მუხრანას" ჭყონმა, ხრეშის საბადო (კატეგორია – C_1+C_2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 45 300 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. მუხრანას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	6 074 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	607,4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	1 415 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სურათი	1
15	სხვა მოსაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი № 14	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი გ.გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	ᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐ
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი პიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალის მიმართულებით, ფერდობის ბუნებრივი ქანობის მდგრადობის შენარჩუნებით. ბ) უნდა განხორციელდეს ქვათაცვენის და შვაური ეროზიის რეგულაციული გაწმენდა. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. მედანის მიმდებარე ტერიტორია, „ასტერის" დოლომიტების საბადო (კატეგორია - C_2, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა – 62 510 ტონა).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი, სოფ. მედანის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	5 869 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	586,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	1 374 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
14	სურათი	1
15	სხვა მოსაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
	ობიექტი №15	
	ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ ბუნებრივი რესურსების სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 578 581
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, გ. გულუას № 6 / 032 72 72 48
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@anr.ge
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	ᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲬᲘᲐᲦᲘᲡᲔᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲰᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲐ
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარნოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეძინოს, დააინტალიროს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები. დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აცილით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს ლიცენზიის გამცემის საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის ან ჭაბურღილის თავმრთელობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი პერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ლიცენზიის გაცემიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).
		თ) უნდა განხორციელდეს წყალშემკრები აუზის შემოღობვა, გადახურვა და სანიტარული ნორმების დაცვა. ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ვამლოვანის დასახლების მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 5 მ³/დღე-ღამეში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ვამლოვანის დასახლების მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	57 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	5,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა – 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	211 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2012 წლის 8 ნოემბერს დღის 11.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2012 წლის 10 დეკემბერს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	20 წელი
14	სურათი	1
15	სხვა მოსაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ვაი კანონისგან

ეს უკვე ტენდენციაა

ლონდონის ოლიმპიადის მეხუთეადგილოსანი, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ნაკრების მძიმეწონოსანი გურამ ფერსელიძე ფილამ 6-თვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა, რის გამოც ჩვენი ქვეყნის ჭიდაობის ფედერაცია 12 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდა.

პარადოქსულია „ჯვაროსანთა“ ერთ-ერთი ლიდერის შერისხვის მიზეზი. როგორც მოგეხსენებათ, ასაკის გადაკეთების მანკიერ პროცესს საქართველომ რამდენიმე წლის წინათ გამოუცხადა ბრძოლა და სპორტსმენებს პასპორტების შეცვლის უფლება მისცეს, ეს კი ქართველი ფალავანისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, რადგან ფილას მონაცემთა ბაზაში მის გრაფაში ერთბაშად ორი პასპორტის მონაცემები აღმოჩნდა. რაც შეეხება კონკრეტულ კომპრომატს, ასეთად ძველი, ასაკგადაკეთებული პასპორტი მიჩნიეს, რომლითაც მან უკვე შორეულ 1994 წელს ბულგარულ ალბენაში გამართულ ევროპის ჭაბუკთა პირველობაზე იასპარეზა.



მოკლედ, როცა ურემი გადაბრუნდა, გაოცებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ კანონიერების აღსადგენად გადადგმული ნაბიჯი თავსატეხად გვექცა, თუმცა, თუ სამართლიანნი ვიქნებით, აქვე უნდა ვიკითხოთ: ნუთუ მხოლოდ ქართველები ვარღვევთ წესებს? ვინმემ თანამემამულეთა მიმართ მიკერძოებულობა რომ არ დაგვწამოს, დავძენთ, რომ ასეთივე საბაბით თითქმის მთელი საჭიდაო სამყაროს „გაციმბირებაა“ შესაძლებელი, მაგრამ უცხოელთა შესახებ სანქციების გამოყენების თაობაზე ინფორმაცია ჯერ არ გაჟღერებულა.

აქედან გამომდინარე, გინდა თუ არა, კაცი ძალაუნებურად ივარაუდებ, რომ, ეტყობა, ფილა ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციად რჩება და ნებისმიერ ფასად ცდილობს საკუთარი სალაროს შევსებას, საქართველო კი დაბალ ღობედ მოიაზრება და გვსჯიან და გვსჯიან...

სხვათა შორის, ვითარება სასიკეთოდ მცირე ხნით გოჩა ძასოხოვის თავკაცობისას შეიცვალა, რომელიც, კულუარული ინფორმაციის თანახმად, ერთგვარი ბარტერის სახით აკმაყოფილებდა ფილას მაღალჩინოსანთა მადას, თუმცა ნაცებთან მისი გაყრის შემდეგ ისევ უპატრონოდ დავრჩით.

და ბოლოს: თუ ფილა დისკვალიფიკაციის ვადას არ შეუმცირებს, გურამ ფერსელიძეს ეროვნული ჩემპიონატის (23-25 ნოემბერი) და, რაც ყველაზე უფრო დასანანია, თბილისში დაგეგმილი ევროპის ჩემპიონატის (2013 წლის 19-24 მარტი) გამოტოვება მოუწევს.

გია პლატონიშვილი

◎ ფეხბურთი

საზავო ეპიდემია

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური რაუნდის მეორე წრის სტარტზე გამართული რვა შეხვედრიდან ხუთი ფრედ დასრულდა, თუმცა ენა არ მოგიბრუნდება კაცს, მეტოქეებს სტრატეგიულად გაფორმებულ ზავში დასდო ბრალი. პირიქით, ეს იყო უმძაფრესი ბრძოლების ლოგიკური შედეგები.

„ა“ ჯგუფი. კიევის „დინამო“ – „პორტუ“ 0:0, „პარი სენ-ჟერმენი“ – ზაგრების „დინამო“ – 4:0.

„პორტუ“ – 10, „პარი სენ-ჟერმენი“ – ზაგრების „დინამო“ 4:0.

„პორტუ“ – 10, „პარი სენ-ჟერმენი“ – 9, კიევის „დინამო“ – 4, ზაგრების „დინამო“ – 0 ქულა.

21 ნოემბერს ითამაშებენ: კიევის „დინამო“ – „პარი სენ-ჟერმენი“, „პორტუ“ – ზაგრების „დინამო“.

„ბ“ ჯგუფი. „შალკე“ – „არსენალი“ 2:2, „ოლიმპიაკოსი“ – „მონპელიე“ 3:1.

„შალკე“ – 8, „არსენალი“ – 7, „ოლიმპიაკოსი“ – 6, „მონპელიე“ – 1 ქულა.

21 ნოემბერს ითამაშებენ: „შალკე“ – „ოლიმპიაკოსი“, „არსენალი“ – „მონპელიე“.

„გ“ ჯგუფი. „მილანი“ – „მალაგა“ 1:1, „ანდერლეხტი“ – „ზენიტი“ 1:0.

„მალაგა“ – 10, „მილანი“ – 5, „ანდერლეხტი“ – 4, „ზენიტი“ – 3 ქულა.

21 ნოემბერს ითამაშებენ: „ანდერლეხტი“ – „მილანი“, „ზენიტი“ – „მალაგა“.

„დ“ ჯგუფი. „რეალი“ – „ბორუსია“ 2:2, „სიტი“ – „აიაქსი“ 2:2.

„ბორუსია“ – 8, „რეალი“ – 7, „აიაქსი“ – 4, „სიტი“ – 2 ქულა.

21 ნოემბერს ითამაშებენ: „სიტი“ – „რეალი“, „აიაქსი“ – „ბორუსია“.

გიორგი ზოთაძე

◎ ნაცნობი ფირფიტა

დევნა თუ პროვოკაცია?

პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელი გიორგი მახათაძე პოლიტიკური ნიშნით დევნაზე საუბრობს. For.ge-ს მახათაძემ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა, სადაც აცხადებს, რომ კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი სამსახურიდან მის გათავისუფლებას პოლიტიკური მოტივით აპირებს. მისი ინფორმაციით, მას ოლიმპიურმა ჩემპიონმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ამ ფაქტებზე კი ის ხვალ დაგეგმილ ბრიფინგზე ისაუბრებს. საკითხის გარკვევას თავად ლერი ხაბელოვთან შევეცდებით, რომლის პასუხს აქვე შემოგთავაზებთ, მანამდე კი, გიორგი მახათაძის ინტერვიუს გთავაზობთ:

— თქვენსა და ლერი ხაბელოვს შორის დაპირისპირების მიზეზი რა არის?

— სპორტისა და ახალგაზრდული კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან ჩემს გათავისუფლებას აპირებს. ზეწოლა ერთადერთი მიზეზით მიმდინარეობს და ამას პოლიტიკური სარჩული აქვს. მან პირად საუბარში მითხრა, რომ სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გაგიშვებ, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ვიტყვიო. გარდა ამისა, მან შეურაცხყოფაც მომაყენა, მაგრამ ამ საკითხებზე ხვალ დაგეგმილ ბრიფინგზე ვისაუბრებ. საჯარო მოხელე ვარ და პოლიტიკასთან არანაირი კავშირი არ მაქვს. მართალია, პოლიტიკურ საკითხებზე ჩემი მოსაზრება მაქვს, როგორც საქართველოს მოქალაქეს, მაგრამ ჩემს სამსახურთან ამას არანაირი კავშირი არ აქვს. ჩემს საქმეს პირნათლად ვასრულებ და კომიტეტის ყველა წევრს თანაბრად ვემსახურები. რაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით მევალება, იმას ვაკეთებ.

— რა ტიპის შეურაცხყოფაზე საუბრობთ — სიტყვიერზე თუ ფიზიკურ დაპირისპირებაზე?

— იყო სიტყვიერი შეურაცხყოფა და დეტალებზე ხვალ ვისაუბრებ. ოლიმპიურ ჩემპიონს ცემით არ ვუცემივარ, რადგან მას ხელი რომ დაერტყა, დღეს ვერ ვისაუბრებდი, მაგრამ დეტალებზე ხვალ ვისაუბრებ. იმ სიტყვებსაც ვერ გავიმეორებ, რაც მან თქვა.

— თქვენ აცხადებთ, რომ ხაბელოვი სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გიშვებთ, პოლიტიზება შეგამჩნიათ თუ კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელად გიორგი ასანიძემ დაგნიშნათ და ამას გულისხმობს?

— პლენარული სხდომის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან მივედი და სხდომის მასალები გადავეცი. მან კი მითხრა, რომ „ნაცებთან“ მიხვედიო და მაგათიანი ხარო.

— ვინაიდან აპარატის ხელმძღვანელი მეშვიდე მოწვევის პარლამენტშიც იყავით, ლერი ხაბელოვთან რაიმე გადაკვეთის წერტილი გქონდათ?

— არა. პარლამენტში მოვიდა და როგორც კომიტეტის ახალი თავმჯდომარე, ისე გამეცნო. თუმცა, პარლამენტის აპარატის თანამშრომელსა და დეპუტატს ერთმანეთისგან ვერ არჩევს. თავიდან დეპუტატი ვეგონე და ავუხსენი, რომ ჩვენ ვიყავით აპარატი.

— თქვენს მსგავსად, აპარატის სხვა წევრებს პრობლემები შეექმნათ?

— ზოგმა განცხადება დაწერა და წავიდა, მაგრამ რა მოტივით, ეს მათ უნდა ჰკითხოთ. ჩემი მსგავსი პრობლემები კი არავის ჰქონია. აპარატში ორი თანამშრომელი დატოვა.

— თქვენი ამბავის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილსა და აპარატის ხელმძღვანელ ზურაბ მაგრაქველიძეს თუ აცნობეთ?

— საქმის კურსში პარლამენტის აპარატის ხელმძღვანელობა ჩავაყენე, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ და სპიკერმა ტელეფონზე არ მიპასუხეს, თუმცა ბესელიას შეტყობინება გავუგზავნე და მომწერა, რომ მზად ვარ, დეტალებში გავერკვიოო. პარლამენტის თავმჯდომარეს კი პასუხი არ მოუწერია. არჩილ კბილაშვილსაც მივწერე და მიპასუხა, რომ თუ თვლით, რომ თქვენი უფლებები დაირღვა, პროკურატურას მიმართეთო. სამართალდამცავი ორგანოებისთვის ჯერ არ მიმიმართავს.

— რას აპირებთ?

— როგორც მოქალაქე და როგორც საჯარო მოხელე, ჩემს უფლებებს დავიცავ. პოლიტიკური ნიშნით დევნა საქართველოში არ უნდა ყოფილიყო და ამას პრემიერ-მინისტრი აცხადებდა. ჩემს საქმიანობას ჩემს პოზიციაში არ ვურევ.

— ამჟამად თბილისში იმყოფებით და სამსახურს აცდენთ?

— გაციებული ვიყავი, წუხელ ქუთაისიდან თბილისში ჩამოვედი და ბიულეტენი ავიღე.

* * *

პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი აპარატის ხელმძღვანელის გიორგი მახათაძის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ მახათაძე დაკავებულ პოსტს საკუთარი ნებით ტოვებს და მისი მხრიდან არანაირ პოლიტიკურ დევნას ადგილი არ აქვს. მხარეებს შორის არსებული დავის დეტალების გარკვევა from.ge-მ კომიტეტის წევრ შოთა ხაბარელთანაც სცადა. ხაბელოვის მსგავსად, ხაბარელი აპარატის ხელმძღვანელის ბრალდებებს უარყოფს და აღნიშნავს, რომ მახათაძე გაუწონასწორებელი პიროვნებაა.

„მის მიერ გაჟღერებული ბრალდებები სიმართლეს არ შეესაბამება. როგორც ვიცი, ეს ახალგაზრდა გაუწონასწორებელია. როცა ლერი კომიტეტის თავმჯდომარედ მოვიდა, გიორგისთან ვისაუბრეთ და შეეთანხმდით, რომ შვებულების შემდეგ ის სამსახურიდან უნდა წასულიყო. მაგრამ შემდეგ ულტიმატუმებით დაიწყო საუბარი. მახათაძე ანგაჟირებული ადამიანია და ტყუილებს ლაპარაკობს. ლერისა და მის შეხვედრაზე მეც ვიყავი და ჩამოვყალიბდით, რომ ორი კვირის შემდეგ თავისი განცხადებით წავიდოდა“, — აცხადებს ხაბარელი. უმრავლესობის წევრი ეჭვს გამოთქვამს, რომ პროცესის დაძაბვის მიზნით მახათაძემ კონსულტაციები გაიარა. **„თვითონ თქვა, რომ თუ სურვილი იქნება, დავრჩები, თუ არა და წავალო. უნდა წასულიყო და არანაირი ზეწოლა არ ყოფილა. არ ვიცი, რა კონსულტაციები გაიარა და ვისთან, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ეს ლერის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია იყოს და, ეტყობა, მასზე ვიღაცამ ზეგავლენა მოახდინა“,** — განაცხადა ხაბარელმა.

for.ge-მ საკითხის კიდევ უფრო საფუძვლიანად გარკვევა თავად ლერი ხაბელოვთან სცადა:

—თქვენი კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელი პოლიტიკურ დევნაში გადანაშაულებთ. თქვენს შორის რაიმე ინციდენტს ჰქონდა ადგილი?

— როდესაც პარლამენტში კომიტეტის თავმჯდომარედ მოვედი, თავად განაცხადა, რომ ბატონო ლერი, თქვენთუ ჩემთან მუშაობას არ აპირებთ, სამსახურიდან წავალო. მეც ვუთხარი — კი ბატონო, განცხადება დაწერეთ და წადით-მეთქი. შემდეგ მთხოვა, ორი კვირით შვებულება გამიგრძელეთო. კერძოდ, 23 ოქტომბერს წავალ და 5 ნოემბერს გამოვალო, რაზეც ვუპასუხე, რომ ეს არანაირი პრობლემა არ იყო. კომიტეტის აპარატის ახალ ხელმძღვანელად ედიშერ მაჩაიძე შევარჩიეთ, რომელსაც გიორგი აქ დახვდა და უთხრა, რომ ლერის მოველაპარაკე და საქმე მასთან მექნებაო. გუშინ ჩამოვედი, გიორგი შემხვდა და განცხადება მომიტანა, სადაც წერია, რომ 6 ნოემბრიდან 23 რიცხვამდე შვებულებაში გამიშვითო. მე ვუთხარი, ხომ მოვილაპარაკეთ, რომ განცხადებას დაწერდი და წახვიდოდი-მეთქი. ალბათ, ფინანსურად უჭირს, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, ეტყობა, დრო გაწელა. დღევანდელი რიცხვით განცხადება შეავსო და თქვა, 23 ნოემბრამდე ვიქნებიო, რაზეც ვუპასუხე, რომ პრობლემა არ არის, თუმცა, თუ გინდოდა ერთი თვე, რატომ მატყუებდი-მეთქი და ამაზე იყო საუბარი.

— თუმცა, გიორგი მახათაძე თქვენი მხრიდან სიტყვიერ შეურაცხყოფაზე საუბრობს...

— არანაირი ზეწოლა არ ყოფილა. ელემენტარულად ის იყო, რომ ერთხელ შემოვიდა, მეორეჯერ, მესამეჯერ და შემდეგ ვუთხარი, რომ გაბრძანდი, გენაცვალე, გავიგე, რაზეც საუბრობ და არანაირი პასუხი არ მაქვს, როგორც გინდა, ისე მოიქეცი-მეთქი. ეს იყო და ეს. როგორ ფიქრობთ, მას ფიზიკურად რომ დავუპირისპირდე, როგორ იქნება გიორგი? ჩემს კაბინეტში მესამედ რომ შემოვიდა და შემაწუხა, უკვე კარები გავუღე და ვუთხარი — გადი-მეთქი.

— რომ დააკონკრეტოთ, სამსახურიდან წასვლის ინიციატივა მას ეკუთვნის?

— როდესაც პარლამენტში მოვედი, მითხრა, რომ აპარატის ორი თანამშრომელი - მთავარი სპეციალისტები, თუ შეგიძლიათ, დატოვეთო და მე პრობლემა არ მაქვსო. მათ კი გავესაუბრე — პარლამენტში ვინ მოგიყვანათ და ვის მიერ ხართ შერჩეულნი-მეთქი. თავად მოფიქრებული ჰქონდა, რომ აპარატიდან წასულიყო, თუმცა დროს ფინანსების გამო წელავდა. კერძოდ, ხელფასი რომ აეღო.

— მახათაძე თქვენგან განსხვავებულ ვერსიებზე საუბრობს და ამბობს, რომ ის თქვენ პარლამენტის პლენარული სხდომის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებთან ერთად დაინახეთ და უთხარით, რომ „მათიანი“ არის...

— მსგავი რამ არ ყოფილა. ეს კომიტეტი წინა პარლამენტში შეიქმნა და გიორგი „ნაცების“ წარმომადგენელი ვერ იქნებოდა. ამასთან, ეს საუბარი არც ყოფილა, არამედ იმაზე იყო საუბარი, რომ ის წასვლას აპირებდა, რაზეც მე თანხმობა განვუცხადე. ამ საუბარს დაესწრნენ შოთა ხაბარელი, გოგი თოფაძე, ვალერი გელაშვილი და სოსო ჯაჭვლიანი, ანუ კომიტეტის წევრებმა ეს საუბარი მოისმინეს. არანაირი დაძაბული საუბარი არ გვქონია.

— თქვენს შორის თუ არანაირი დაპირისპირება არ ყოფილა, თქვენს მიმართ მახათაძის მიერ ბრალდებების გაჟღერებას რას უკავშირებთ?

— კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ: ის სწორს არ მეუბნებოდა და ვუთხარი, რომ მატყუებდა და ამაზე იყო საუბარი. პრობლემა ის კი არ იყო, კომიტეტის აპარატის ხელმძღვანელი თუ რამდენი ხანი იქნებოდა, არამედ ტყუილის ფაქტორი.

— მახათაძე თქვენთან დაპირისპირების დეტალების მოყოლას ხვალ დაგეგმილ ბრიფინგზე აპირებს. მას რას უპასუხებთ?

— თქვენ თუ ამ თემას მიუძღვნით იმას, რომ გიორგიმ თითქოს დიდი რამე გააკეთა, არ ვიცი, მაგრამ, ვფიქრობ, რომ ეს მისი მხრიდან გმირობა არ არის.

თეონა მანაგაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ჩვენი კარაბადინი

უძილობის დასამარცხებლად

საშიში ნამლებისა და ძილის მოსაგვრელი რჩევების თაობაზე

სტატისტიკის მიხედვით, 40 წელს გადაცილებულ ყოველ მესამე კაცს სირთულეები უჩნდება დაძინებასთან დაკავშირებით. მაინც, რად გვიჭირს დაძინება? „არგუმენტი ი ფაქტი“-ს ჟურნალისტი ესაუბრება ექიმ-სომნოლოგს, სპეციალისტს მოსკოვის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან.

— ადამიანს ჰგონია, რომ უძილობა სჭირს, თუ ერთ საათზე მეტხანს ვერ ახერხებს დაძინებას. ექიმები რას ეძახიან უძილობას?

— უძილობის დიაგნოზს იმ პაციენტს დაუსვამენ, ვინც კვირის სიგრძეზე სამჯერ ვერ გამოიძინა. ეპიზოდური უძილობა კი თავისით გაივლის ხოლმე. ექიმს მაშინ უნდა მივმართოთ, თუ ძილის გატეხა არ შემწყდარა გადატანილი სტრესიდან 3 თვის მერე. ეს უკვე ნიშნავს, რომ ორგანიზმი ვერ ახერხებს დამოუკიდებლად პრობლემის მოგვარებას.

— ბევრი დამაძინებელი საშუალებებით უმკლავდება უძილობას.

— და ასეთი წამლების მავნეობა ყველამ იცის. რუსეთში მოსახლეობის 4,5 პროცენტი მათ ბოროტად იყენებს (დასავლეთში მხოლოდ 0,2 და ესეც იქ დიდ პრობლემად ითვლება). დასაძინებელი არ უნდა მივიღოთ ექიმისგან გამოუწერლად. ზოგიერთი სახის უძილობისას ისინი უსარგებლონი არიან და მიჩვევას მოიყოლებენ. ხანდაზმულ ადამიანთა შორის პოპულარული პრეპარატები შეიცავს ფენობარბიტალს — ძლიერ დასაძინებელ საშუალებას პირველი თაობისას, არაერთი გვერდითი ქმედების მქონეს.

— რატომ გვეწყება უძილობა?

— რომ დაგვეძინოს, უნდა სრულად მოვდუნდეთ. უძილობა (რაც ცხრანაირია) ტვინში პროცესების ზედმეტი აქტიურობის ფონზე ჩნდება. ქრონიკული უძილობა კი მაშინ გვემართება, როცა ძილის გატეხა დაგვჩემდება. ყალიბდება „უძილობის სინდრომი“, რომლის მორევა ძლიერმოქმედ დასაძინებელ პრეპარატებსაც არ ძალუძს.

— რატომ სძინავთ ხანდაზმულთ განსაკუთრებით ცუდად ღამღამობით?

— ისინი ცოტას მოძრაობენ და დღისით ჩათვლემის შესაძლებლობის მქონენი არიან, რაც ღამით ძილის მოთხოვნილებას ამცირებს.

— ექიმები როგორ კურნავენ უძილობას?

— ქრონიკულ უძილობას შველის ქცევითი მეთოდიკები — მაგალითად, ძილის შეზღუდვა. იმ დროს, როცა კაცს არ სძინავს, ურჩევენ წოლას კი არა, ადგომას, საქმიანობასა და კვლავ დაწოლას მძინარობის მორევისას. ზოგჯერ ანტიდეპრესანტებს უნიშნავენ, ისინი სიმშვიდის გრძნობას გვგვრიან, უძილობის შიშთან გამკლავებაში გვეხმარებიან. ჩვეულებრივ, ძილის ნორმალიზაციაზე 3 თვე იხარჯება.

— კაცი წევს ლოგინში და ვერ იძინებს. უნივერსალური რჩევა მიეცით — რა ქნას?

— ეს თუ ქრონიკული პრობლემა არ არის, უნდა განაგრძოს წოლა. ძილი მოვა, ეს ხომ ორგანიზმის ფუნდამენტური მოთხოვნილებაა. სასიამოვნოზე იფიქრეთ და ნურავითარ შემთხვევაში ნუ აიძულებთ თქვენს თავს ძილს! თუ ძილი არ მოდის, ეცადეთ ფიქრში „ცხვრების დათვლას“. მონოტონური გონებრივი საქმიანობა ტვინს შლის და ადამიანი „ითიშება“. წაიკითხეთ უინტერესო წიგნი. დალიეთ თბილი რძე — იმაში შედის ამონმჟავა ტრიპტოფანი, რომელიც ტრანსფორმირდება ძილის ჰორმონში მელატონინში. შეიძლება წყნარი, მომადუნებელი მუსიკის მოსმენა.

ცხრა მითი უძილობის შესახებ

პირველი

უძილობა ინტელიგენციის სენიაო...

არაა დამტკიცებული კავშირი უძილობასა და განათლებას დონეს, ან უძილობასა და სოციალურ სტატუსს შორის. პაციენტთა ძირითადი კონტინგენტი გახლავან საშუალო ასაკის ქალები (რომლებიც უძილობისგან ორჯერ მეტად იტანჯებიან, ვიდრე იმათი თანატოლი მამაკაცები) და ხანდაზმულნი (72 პროცენტი).

მეორე

მშიერ კუჭზე რას დაგეძინებაო

გადავსებული კუჭით დაძინება შეუძლებელია. ზედმეტი ჭამა ზრდის წყლულოვანი რეფლექსების რისკის განვითარებას — საკვები მოხვდება საყლაპავ მილში, ჩნდება დაძინების ხელშემშლელი გულძმარვა. „მშიერზე“ დაძინება უფრო ადვილია — საკვები თუ არაა, კუჭი არ ღიზიანდება და დაძინებას არ უშლის.

მესამე

თითქოს უძილობა ნერვების ბრალია

ძილის მოშლა ხშირად ტკივილიანი სინდრომით თანხლებულ დაავადებათა დროს ხდება: ხერხემლის ოსტეოქონდროზისას, კუჭის წყლულისას, ოსტეოართროზისას (სახსრების ავადმყოფობისას), ალერგიული რინიტებისას.

მეოთხე

გამოძინება 4 საათში შეიძლება...

ძილის მოთხოვნა გენეტიკურადაა კოდირებული და ადამიანთა დიდი უმრავლეობისთვის 7-8 საათით განისაზღვრება. ისეთებიც არიან, ვინც თავი ნაკლებ ძილს მიაჩვია. ამას სხვადასხვა ავადმყოფობით ზღავენ — სულიერითა თუ ხორციელით.

მეხუთე

გიშველით ორთოპედიული მატრასები და ბალიშები, თვალებზე ნიღბები და ყურსაცობები

ძილის ხარისხს აუმჯობესებს გარე გამღიზიანებელთა უქონლობა, ძილს თუ ატკივებული ზურგი ან ყელი გვიშლის, ორთოპედული კუთვნილებები გადაწყვეტს უძილობის პრობლემას. მიზეზი თუ სტრესია, აზრი არა აქვს ძვირ მატრასებზე ფულის ხარჯვას. ნიღბები და ყურსაცობები შუქისა და ხმაურისგან იცავენ, თუმცა მათი მიზეზით წარმოიქმნება უსიამოვნო შეხებითი შეგრძნებები. უნდა შეფასდეს, რომელი გამაღიზიანებელი უფრო უსიამოვნოა თქვენთვის.

მეექვსე

ძილის წინ ოთახი უნდა გაანიავოთ ან სარკმელი ღია დატოვოთ

ნახშირორჟანგის ამაღლებული შემცველობა ჰაერში სულაც არ ახდენს გავლენას ძილის ხარისხზე. უფრო ისაა, რომ სუფთა ჰაერი ემოციური კომფორტის შეგრძნებას იძლევა.

მეშვიდე

ბავშვებს მშობლების ლოგინში უკეთ ძინავთ

ამერიკელ მეცნიერთა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მშობლებთან ძილს მიჩვეული ბავშვი გადაჩვევის ცდების მერე უფრო ხშირად აწყდება პრობლემებს, ვიდრე ის ბავშვი, რომელსაც სიცოცხლის პირველივე თვეებიდან ცალკე ეძინა.

მერვე

ბავშვები საღამოს 9-ზე დავაწვინოთ

ეს იმას უკავშირდება, რომ სსრ კავშირის დროს 21.00-ზე მთავრდებოდა გადაცემა „ღამე მშვიდობისა, პატარებო!“. აშშ-ში სკოლამდელი ასაკის ბავშვებს უფრო ადრეც აწვენენ — 20.00-ზე. ოპტიმალური დრო საძილედ მოსაწყობად არ არსებობს — პრინციპულად მნიშვნელოვანია დასაძინებლად დაწოლა მაშინ, როცა იკლებს გარე განათების დონე. მზის ჩასვლის შემდეგ სწრაფად იწყებს მატებას მელატონინის გამომუშავება — იმ ჰორმონისა, რომელიც ორგანიზმს ღამის რეჟიმში გადართავს. აზრს მოკლებულია იმაზე ადრე დაწოლა, ვიდრე დაბნელება დაიწყება, ვინაიდან მელატონინის უქონლობის გამო ჩქარა დაძინებას ვერ შეძლებთ.

მეცხრე

სპორტი გვეხმარება

დამტკიცებულია, რომ სპორტსმენებს საღამოს წვრთნების მერე ღრმა ძილის ხანგრძლივობა ეზრდებოდათ. ოღონდ გახსოვდეთ: მაქსიმალურად დადებითი ეფექტი აღინიშნება, თუ წვრთნები მთავრდება დაძინებამდე 6 საათი ადრე.

უცხოური პრესის მიხედვით

მოამზადა

თამაზ ეგანოიძემ

◎ განათლება

პასუხისმგებლობა სკოლებმა უნდა იკისროს

ეს გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა მაია მიმინოშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, სკოლამ თავად უნდა გადაწყვიტოს, როგორ შეაფასებს მოსწავლეს და ეკუთვნის თუ არა მას ატესტატი.

„სკოლამ, პედაგოგმა უნდა გაიცნობიეროს პასუხისმგებლობა და თავად გადაწყვიტოს, თუ რა მოდელით ჩაატარებენ გამოცდებს, იქნება ეს წერითი, ზეპირი გამოცდა, გასაუბრება თუ ჩათვლა“, — აღნიშნა მიმინოშვილმა.

მისივე თქმით, აბიტურიენტები უმაღლესში მოსახვედრად ე.წ. „8+1“ მოდელით გამოცდებს აღარ ჩააბარებენ და მათ სამი სავალდებულო და ერთი არჩევითი საგნის ჩაბარება მოუწევთ.

ამასთან, მიმინოშვილმა საგამოცდო სისტემაში მიმდინარე სხვა ცვლილებებზეც ისაუბრა. კერძოდ, 2014 წლიდან მე-11 კლასელები გამოცდებს 4 საგანში — ქიმიაში, ფიზიკაში, ბიოლოგიასა და გეოგრაფიაში ჩააბარებენ. ხოლო მე-12 კლასში მათ გამოცდების ჩაბარება კიდევ 4 საგანში მოუწევთ — ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, მათემატიკასა და უცხო ენაში. მიმინოშვილის განმარტებით, უმაღლესში მოსახვედრად აბიტურიენტს სავალდებულო საგნების, მათ შორის ქართულისა და უცხო ენის ჩაბარება მაინც მოუწევს, რადგან გამოსაშვები გამოცდების სტანდარტი მინიმალურია.

გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის თქმით, წელს მე-11 კლასელები გამოცდებს არ ჩააბარებენ, თუმცა 2013 წლის შემოდგომაზე მათ შესაძლებლობა ექნებათ, 4 საგანში გამოცდა წინასწარ ჩააბარონ და ცუდი შედეგის შემთხვევაში, გაზაფხულზე ხელახლა გადააბარონ.

ინტერპრესნიუსი

◎ ულტიმატუმი მერიას

მუნიციპალური ტრანსპორტი გაფიცვის ზღვარზეა

თუ პრობლემები დროულად არ გადაიჭრა, დედაქალაქი, შესაძლოა, ავტობუსებისა და მეტროს გარეშე დარჩეს

მეტროპოლიტენის თანამშრომლები თბილისის მერიასა და „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ ხელფასების გაზრდისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით მიმართვას უგზავნიან, პარალელურად კი მუნიციპალური ავტობუსების მძღოლები მოსალოდნელი გაფიცვის შესახებ განცხადებას ავრცელებენ. გაფიცვის მიზეზად ისინი არაადეკვატურ სამუშაო პირობებსა და დაბალ ხელფასებს ასახელებენ.

თუ თბილისის სატრანსპორტო კომპანია მძღოლებს ხელფასს არ გაუზრდის, ისინი, სავარაუდოდ, 12 ნოემბრისთვის მუშაობას შეაჩერებენ. მძღოლების საშუალო ხელფასი 500-დან 600 ლარამდე მერყეობს.

საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატი ჯაბა სამუშია ხელფასებთან ერთად იმ მოთხოვნებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელსაც მძღოლები აყენებენ. ესენია: ხელშეკრულების შეცვლის აუცილებლობა, გენინსპექციის რეორგანიზაცია, უსამართლო ჯარიმების გაუქმება, „რეზერვის მძღოლების“ სტატუსის განსაზღვრა, კომპანიის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებების გამო გაცდენილი სამუშაო დღეების ანაზღაურება და ბოლო გაჩერებებზე საპირფარეშოების პრობლემის მოგვარება.

„სოლიდარობას ვუცხადებთ მძღოლებს და მივმართავთ მერიას, მოახდინოს რეაგირება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ვინაიდან მძღოლების მოთხოვნა სამართლიანია და შეესაბამება იმ სტანდარტებს, რაც უნდა არსებობდეს სატრანსპორტო სფეროში“.

იგი სამარშრუტო ტაქსების შესაძლო გაფიცვის თემასაც შეეხო. მისი თქმით, ამ ეტაპზე პოლიტიკური რესურსები ამოწურული არ არის და ჯერ კიდევ შეიძლება მძღოლების მოთხოვნების შესრულება მოლაპარაკებების გზით გადაწყდეს.

თბილისის მეტროპოლიტენის 2600 თანამშრომელმა კი საკუთარი მოთხოვნები 29 ოქტომბერს ჯერ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის გენერალურ დირექტორს გაუგზავნა, 6 ნოემბერს უკვე თბილისის საკრებულოსა და მერიაშიც შეიტანა. მეტროს მუშაკები საერთო ჯამში 12 საკითხის გადაჭრას ითხოვენ: დროებითი ხელშეკრულებების გაუქმება, მემანქანეებისა და სხვა წამყვანი სპეციალისტებისათვის კლასის და თანრიგის აღდგენა, მძიმე და მავნე პირობებში მომუშავე თანამშრომელთათვის ხელფასზე დანამატის გაცემა, უსაფრთხოების პირობების შექმნა, ჯანმრთელობის სადაზღვევო პაკეტის შეცვლა და ა.შ.

ჩიხში მომწყდეულმა თბილისის მერიამ კი, როგორც იქნა, პასუხის გაცემისთვის მოიცალა. მერია მზად არის, შეხვდეს ყველა პირს, რომელიც დაინტერესებულია ტრანსპორტის დარგში არსებული სიტუაციით. დედაქალაქის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის აკაკი ჯოხაძის თქმით, მან ბევრჯერ გამოთქვა შეხვედრის სურვილი ჯაბა სამუშიასთან, თუმცა ყველა შეთავაზებაზე უარი მიიღო.

„ამ დარგში მომუშავე ყველა თანამშრომელს 17%-ით უკვე გაეზარდა ხელფასები. ყოველ წელს იზრდება ბიუჯეტი სატრანსპორტო დარგისთვის და ის ხმარდება მის განვითარებას. მძღოლებთან შეხვედრა გვქონდა და ის 16 პუნქტი, რომლის დაკმაყოფილებასაც ითხოვენ, შეჯერებულია მათთან. 16-დან 15-ზე გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და იციან ის კონკრეტული გზები, რომლითაც მივდივართ ამ საკითხების გადასაჭრელად. დღევანდელი პირობა არის უკეთესი, ვიდრე იყო გუშინ და ხვალ კიდევ უკეთესი იქნება“, — განაცხადა ჯოხაძემ.

ის ასევე გამოეხმაურა მეტროპოლიტენის მუშაკთა პროტესტს არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თბილისის მერია და სატრანსპორტო სამსახური ცდილობს, რომ ყველა პრობლემა, რომელიც ამ დარგში არსებობს, აღმოიფხვრას.

ეკა ბაძრაძე

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
599 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

ანდრო დევდარიანი, მაია კვეზერელი-კოპაძე ოჯახით თანაუგრძნობენ დალი გამყრელიძეს, შავლეგ, სანდრო ჩიგოგიძეებს მეუღლის და მამის, კაცთმოყვარეობითა და ღირსებით გამორჩეული მამულიშვილის

კახი ჩიგოგიძის

გარდაცვალების გამო.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დაიჯესტი

ივარჯიშეთ, რათა... დაიძინოთ

უძილობის საუკეთესო საშუალებაა კვირაში ორნახევარი საათი ვარჯიში.

ამერიკელმა მკვლევარებმა ძილის დარღვევისა და ცხოვრების სხვადასხვა ნირს შორის კავშირი შეისწავლეს. აღმოჩნდა, რომ მას შემდეგ, რაც მათ, ვინც უძილობას უჩივის, კვირაში 2,5 საათის ვარჯიშის შემდეგ ძილი 65 პროცენტით უუმჯობესდებათ – მათ აღარც კაშკაშა სინათლე, არც გარეშე ხმაური უშლის ხელს. სპორტული ვარჯიშები კვირაში 3-4-ჯერ უნდა აკეთოთ, ხოლო ძილზე მათი დადებითი გავლენა თავს სამ კვირაში იჩენს. საგულისხმოა ისიც, რომ მნიშვნელობა არა აქვს, თუ სპორტის რომელ სახეობას აირჩევთ – ამ შემთხვევაში მათგან ნებისმიერი წაგადგებათ.

„ნათესაური“ მთქნარება

თუ რატომ არის ზოგიერთის მთქნარება გადამდები, ზოგის კი – არა, ამის მიზეზი პიზის უნივერსიტეტის ფსიქოლოგებმა ახსნეს.

აღმოჩნდა, რომ „მთქნარების ჯაჭვური რეაქცია“ მხოლოდ ახლობელ ადამიანებში ხდება. ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ, როცა თქვენი უახლოესი ნათესავები უნებლიედ მთქნარებაში აგყვებიან.

კბილები და შიდა ორგანოები

ნორვეგიელმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ კბილების ოდენობა... მეხსიერებაზე მოქმედებს.

კბილებამოღებულ პაციენტებს მეცნიერებმა მეხსიერების შენახვის პროცესებში დარღვევები აღმოუჩინეს. გარდა ამისა, მეცნიერებმა ასევე დაადგინეს კავშირი კბილებისა და ორგანოების მდგომარეობას შორის. მაგალითად, მცირე საღეჭი კბილები კუჭქვეშა ჯირკვალთანაა დაკავშირებული, წინა კბილები – სახრეხთან, ეშვები კი – ღვიძლთან.

თან გახდებით, თან ფულსაც დაზოგავთ

ველოსიპედი – ჭარბი წონის დასაგდებად უებარი საშუალებაა, ამიტომ ველოსიპედით სიარულს მეცნიერები დაბეჯითებით გვირჩევენ.

ჭარბი წონის დაკლების გარდა ველოსიპედს კიდევ ერთი დადებითი თვისება აქვს – იგი ნახშირორჟანგით ატმოსფეროს არ აბინძურებს. კერძოდ, თუ კაცი კვირაში ერთხელ ველოსიპედით 5 კილომეტრს გაივლის, ეს გულის სისხლ-ძარღვთა დაავადებისგან სიკვდილის რისკს 39 პროცენტით შეამცირებს. გარდა ამისა, მკვლევართა აზრით, თუკი ამას ყველა გააკეთებს, ეს წელიწადში 7 მილიარდი დოლარის დაზოგვას შეუწყობს ხელს, რომელიც გარემოს დაცვასა და გამონაბოლქვი გაზებისგან გაწმენდაზე იხარჯება.

როცა კარიერა უფლისწულზე უფრო მეტად საიმედოა

ახლახან ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევით ერთობ საგულისხმო რამ დადგინდა: თურმე ბოლო ხანებში ბრიტანელი ქალები აღარც მილიონერის, აღარც უფლისწულის ცოლობაზე აღარ ოცნებობენ.

თუ 1958 წელს დაბადებულ ქალთა 39 პროცენტი მათზე უფრო მაღალი სოციალური სტატუსის მქონე მამაკაცს გაყვა ცოლად, 1976-დან 1980 წლამდე დაბადებულ ქალთა შორის ასეთი მხოლოდ 16 პროცენტი იყო. ქალთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ (56 პროცენტმა) ბედი თანატოლი სოციალური მდგომარეობის მქონე მამაკაცს დაუკავშირა.

ბოლო დროს ახალგაზრდა ქალები უპირატესობას უფრო განათლებასა და კარიერას ანიჭებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდენტებს შორის ახლა უფრო ქალიშვილები ჭარბობენ. 22-29 ახალგაზრდა ბრიტანელ ქალბატონთა ხელფასმა კი მათი თანატოლი მამაკაცების ხელფასს ოდნავ გაუსწრო კიდეც!

თეთრი მანქანა უფრო იაფია

ავტომანქანის შეძენის მსურველები ბაზარზეც, ავტოსალონებშიც ერთ უცნაურობას აწყდებიან – ერთი და იგივე მარკის ავტომანქანები ერთმანეთისგან ფასით... ფერის გამო განსხვავდებიან.

სხვა ფერის მანქანებთან შედარებით უფრო იაფია თეთრი ფერის მანქანები. თურმე თეთრი ფერის ავტომობილების გაიაფება მარკეტინგული სვლაა: ამ გზით ავტოდილერები სხვა ფერის მანქანებს ფასს უმატებენ. აცხადებენ ავტობაზრის ექსპერტები. სინამდვილეში, თვითღირებულებით განსხვავებული უბრალო (თეთრი, წითელი, შავი და სხვ), ასევე მეტალიკიანი, სადაფიანი და სხვა ეფექტის მქონე საღებავებია.

მთავარია, ნემსი ნაყოფს არ შეერჭოს!

ფეხმძიმე ქალის მუცლიდან... ქირურგიული ნემსი ამოვიდა!

ბრიტანელმა კელი ლონიგანმა ნემსი ორსულობის მეშვიდე თვეზე აღმოაჩინა. ვარაუდობენ, რომ ქირურგიული ნემსი ქალის მუცლის ღრუში აპენდიციტის ოპერაციის დროს დარჩათ. ნემსის ამოღება ექიმებმა მშობიარობის შემდეგ გადაწყვიტეს: იგი ნაყოფს არ შეხებია, ქირურგიული ოპერაციების გაკეთება კი ორსულობის დროს სასურველი არ არის.

ანეკდოტები

– **რატომ არ ატარებ ჩემს საჩუქარს?**

– **ცხრა თვე ვატარებდი, ახლა თვითონ დადის.**

* * *

– **ახალგაზრდავ, პარკს იყიდით? – ეკითხება მაღაზიის გამყიდველი მუშტარს.**

– **არა, გმადლობთ, ნაყიდს მანქანამდე ისეც მივიტან.**

– **მერსედესით დაიხართ და პარკის ფულს ზოგავთ?**

– **იმიტომაც მეყო ფული მერსედესისთვის.**

* * *

ცხოვრება ისე უნდა განვლო, რომ ზეცაში გითხრან, გაიმეორეო, ან ჯოჯოხეთში მოგმართონ – მობრძანდით, ჩვენო ბატონოო.

* * *

ცოლმა ახალი კაბა ჩაიცვა და ქმარს ეკეკლუცება:

– **ძვირფასო, როგორ შემაფასებდი?**

– **ცოტათი თავი მომაბეზრე, თორემ არა გიშავს.**

ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთილი ვარსებებთან

„დევნილთა შეჭრა „ნაციონალების“ ორგანიზებულია“

– ადასტურებს დევნილთა ომბუდსმენი მაია ხარაძე: – „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს წინასწარ ჰქონდათ შერჩეული ობიექტები. ისინი გაუსაძლის სოციალურ პირობებში მყოფი დევნილების მდგომარეობით სარგებლობდნენ და აქეზებდნენ, რომ კონკრეტულ ობიექტებში შესულიყვნენ, უხსნიდნენ, რომ ახალი ხელისუფლება მათ ისე ვერ მოექცეოდა, როგორც წინა – ვერ გამოიყვანდნენ მათ ამ ფართებიდან და თუ გამოიყვანდნენ, დააკმაყოფილებდნენ სხვა ფართით.

„რეზონანსი“

ზურაბ ადეიშვილის, დავით კეზერაშვილის და ეგრაელი მევახშის კორუფციული სამკუთხედი

ბიზნესმენი თემურ კვარაცხელია ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მიხეილ საკაშვილის მოწოდებას გამოეხმაურა, ჩამოვიდა საქართველოში და გადაწყვიტა, უცხოეთში ნაშოვნი ფული თავის ქვეყანაში დაებანდებინა. კვარაცხელიას სახელს უკავშირდება 1996 წელს ნარიყალაზე აშენებული წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია და ბევრი სხვა. თემურ კვარაცხელია ინტერვიუში საუბრობს, როგორ წავიდა მოგვიანებით მისი საქმე და ვინ არის 85 წლის სასან ჰოკი, რა ურთიერთობა აქვს მას ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან და როგორ აკოტრებდა იგი ბიზნესმენებს.

„ძართული სიტყვა“

ვლადიმერ პუტინი ავადაა

ვლადიმერ პუტინს ძველი ავადმყოფობა შეუბრუნდა, რომელიც სპორტულ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. პუტინის ჯანმრთელობის მდგომაროების შესახებ პირველი ინფორმაცია სააგენტო „როიტერმა“ გაავრცელა. პუტინი საკუთარი სახლიდან, ფაქტობრივად, აღარ გამოდის. კრემლში იმედს გამოთქვამენ, რომ „ტრავმა“ პუტინს სამუშაო გრაფიკს არ დაურღვევს.

„ვერსია“

იყიდება ბინა სასწრაფოდ!

ძალაძის ცენტრში, ოპერის უკან, თაბუკაშვილის 32-ში სასწრაფოდ და ძალიან იაფად იყიდება 4-ოთახიანი, 100 კვ.მ. მაღალჭერიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. საწყისი ფასი 70 ათასი დოლარი. დარეკეთ საღამოს – 247-57-79.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

ფოტოფაქტი



ინდოელი ხარიან რამჯიტ რაგხავი 96 წლისა... გახდა მამა. ეს ყველაზე ბებერი „ახალგაზრდა მამაა“ დედამიწის ზურგზე... მკითხველს აქვე შევახსენებთ, რომ პენსიას ინდოეთში ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ მხოლოდ სპილოები და საჭურისები იღებდნენ...

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1“-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com